საქართ. სოციალდემოკრატიული მუშათა პარტია

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

სამშაბათი, 21 ნოემბერი 1917 წ.

ერთობა

ფასი 15 კაპ.

გაზეთის ფასი: ერთი თვით 3 მან. 85 კაპ., ცალკე ნომერი ყველგან 15 კ. საზღვარ-გარეთ ორჯერ მეტი. განცხადების ფასი, როგორც პირველ გვერდზე, ისე მეოთხეზე, პეტიტის სტრიქონი—50 კაპ. სამგლოვიარო განცხადება [illegible] 8 მ. საქმიანი განცხადება უნდა მოტანილ იქნას არა უგვიანეს დილის 11 საათ. საათისა. ხელმოუწერელი წერილები არ იბეჭდება. დაუბეჭდავ სტატიებს რედაქცია არ ინახავს, ავტორებს უკან არ უგზავნის და არც შესაბამ არც [illegible] კისრულობს.

ხელის მომწერლებმა ფული უნდა [illegible] Тифлисъ, почт. ящ. 199. Редакция „Эртоба". [illegible] მიიღებს.

რედაქციაში პირადათ მოლაპარაკება შეიძლება 10—12 საათამდე. რედაქციისა და კანტორის ადრესი: თფილისი, გოლოვინის პროსპექტი № 12. Тифлисъ Головинскій проспектъ № 12).

ტელეფონი 16—62.

№ 202

ორგანო ამიერ-კავკასიის სოციალდემოკრატიულ მუშათა ორგანიზაციებისა.

№ 202

თფილისის სადგურის გადამწონველთა (ვესოვშჩიკთა) პროფესიონალური ორგანიზაცია ღრმათ დამწუხრებული აუწყებს ამხანაგთ და ნაცნობებს, რომ უდროოდ გარდაიცვალა 18 ნოემბერს [illegible] თავისუფლებისთვის დაუღალავი მებრძოლი [illegible] რკინის-გზის [illegible] კომიტეტის თავმჯდომარე ამხანაგი გადამწონელი

დიომიდე ივანეს ძე მდინარაძე

ამიერ კავკასიის აქციონერ აფთიაქის მასალის

სავაჭრო საზოგადოება

აცხადებს, რომ აქციებზე ხელის მოწერა 15 ნოემბრიდან 31 დეკემბრამდე მიიღება: ქუთაისში ლ. ვ. [illegible], ბათუმში [illegible] ნ. [illegible], ფოთში [illegible] ა. ი. [illegible] და თფილისში ამიერ კავკასიის ბანკში. (2—2)

განათლების სამინისტროს ნებართვით გაიხსნა

საბუღალტრო კურსები

(მუშალტერ-სპეციალისტისა)

ორივე სქესისათვის. ფასი შეღავათიანია. მიღება ყოველ დღე დილის 11-დან 2 საათ. და საღამოთი 4-დან 6 საათ. ადრესი: თბილისი, დუმბაძის ქუჩა, სახ. № 9 (წყნეთის ქ. ახლოს, 1-ლი სამაღაზიო ნაწილი). (2—2)

თფ. გუბერნიის სასურსათო კომიტეტისაგან

სავალდებულო დადგენილება

თფილისის გუბერნიის სასურსათო კომიტეტი, დროებითი დებულების 13 სტ. მე-20 მუხ. ძალით, რომელიც უნდა სასურსათო ორგანოთაგან ყველაზე მტკიცე ფასების შემოღებას,—აწესებს ქ. თფილისისათვის შემდეგ ფასებს:

შვეიცარული ყველი 1 გირ.—2 მან. 10 კაპ.

ადგილობრივი „ 1 გირ.—1 მან. 50 კაპ.

ყველა იმ ადგილებში, სადაც ყველი გაიყიდება გამოკრული უნდა იქნეს პლაკატები ყველის ნამდვილი ფასის ზედ წარწერით. ის პირები, რომელნიც ამ ნიხრზე მეტად გაჰყიდიან ყველს, პასუხის გებაში იქნებიან მიცემულნი, თანახმად დროებითი მთავრობის რედაქციით 1917 წ. 17 მარტს გამოცემულ სასჯელთა დებულების მე-29 მუხლის ძალით, რომელნიც ისჯებიან მოსამართლეთა მიერ.

ეს დადგენილება ძალაში შედის დღიდან მისი გამოქვეყნებისა.

თფილისის სასურსათო კომიტეტი.

ამიერ კავკასიის სადგურების მუშათა ყრილობა

თანახმად ზოგიერთი პროვინციალურ სადგურების მუშათა სურვილისა დროებითი ბიურო, რომელსაც დაევალა საქ. სადგურების მუშათა ყრილობის მოწვევა, ამით აცხადებს ყველა ამხანაგების საყურადღებოთ, რომ 5 დეკემბერს 1917 წ. ქ. თფილისში შესდგება ამიერ კავკასიის სადგურების მუშათა ყრილობა, რისთვისაც [illegible] ამხანაგებს ყველამ გამოგზავნონ დელეგატები ყრილობაზე თფილისში, თფ. სადგ. სადგ. კომიტეტში.

წარმომადგენლების არჩევნები შემდეგ წესით უნდა მოხდეს:

50 კაციდან 100-მდე, ამხანაგებმა აირჩიონ ერთი დელეგატი. [illegible] მცირე სადგურები, სადაც მუშათა რიცხვი ამ რაოდენობას არ აღწევს,—ერთდებიან სხვა პატარა სადგურის მუშებთან და ამნაირათ გზავნიან წარმომადგენლებს. იმ ადგილებში სადაც მუშების რიცხვი 150 აღემატება ორი წარმომადგენლის უფლება აქვს.

განსახილველი კითხვები: 1) მიმდინარე მომენტი, 2) ჩვენი [illegible] ამიერ კავკასიის ახალ მთავრობასთან, 3) მოხსენებები ადგილებიდან, 4) [illegible] მოწყობა, როგორც საოლქოს ისე ადგილობრივის, 5) მიმდინარე კითხვები.

ყველა წარმომადგენლების ხარჯებს კისრულობენ ადგილობრივი ამომრჩევლები.

2—1

დრ. ბიურო.

ახალ სრულ-უფლებიან

ქართულ გიმნაზიაში

ორთავე სქესის ყმაწვილთათვის

სწავლა უკვე დაიწყო. მიღება გრძელდება [illegible], მიღებულების [illegible] მოხდება 20 და 21 დეკემბერს პირველ კლასში და მოსამზადებელ განყოფილებებში [illegible], [illegible] ნიჭისა, [illegible] და უნარისა. იანვარში მიღების [illegible] დეკემბერში 22 და 23, იანვარში 5 და 8.

მისამართი: [illegible] სასწავლებელი, [illegible] ქ., [illegible] სახლი № 2.

15—7

დამფუძნებელი ს. და თ. [illegible].

---

14 ნოემბერს [illegible] თბილისამდე მგზავრობის დროს [illegible] მატარებელზე

დავკარგე

ჯიბის წიგნი, რომელშიაც იყო ფული 70 მან., პირადობის დამამტკიცებელი მოწმობა, პასპორტი, ს.-დ. პარტიის საწევრო ბარათი და სხვა საჭირო დოკუმენტები. მნახველს ვსთხოვ ფული თითონ დაიტოვოს და სხვა მოწმობები და დოკუმენტები უკანვე დამიბრუნოს შემდეგი მისამართით: Тифлисъ,—вокзалъ. Нарядчику кондукторской бригады. Для Варлама Ивановича Коршія

პატივისცემით:

2—1

ვარლამ ივანეს ძე კორშია.

ექიმი

გ. ლონხინი

ყოფილი ასისტენტი პარიზის მთავარ კლინიკისა იღებს

თვალის ავადმყოფებს,

დილის 10—12 და საღამოს 4—7 საათამდე. მიხეილის პრ., 76, ([illegible] სახლში).

[illegible] თანაშემწე

დოქ. ი. თავართქილაძე

ღებულობს ავადმყოფებს ყოველ-დღე საღამოს 4—6 საათამდე. [illegible] ქუჩა, № 4

ექიმი მ. გ. მეჩხაძე

ტომსკის უნივერსიტეტის [illegible] კლინიკის ორდინატორი იღებს ავადმყოფებს კანისა და ვენერიულის სნეულებით ყოველ დღე 3—5 საათამდე, [illegible] ქუჩა, № 19

ექიმი მ. გ. მეხაძე

იღებს [illegible] ავადმყოფებს საღამოს 6—8 საათამდე [illegible], მისამართი: [illegible] ქუჩა № 67; [illegible] სახ. [illegible]. ტელეფონი № 5—77.

ბოლშევიკები და დამფუძნებელი კრება

ბოლშევიკების ანარქო-ბლანკისტური ტაქტიკის შედეგათ მრავალ საარჩევნო კუთხეში დამფუძნებელი კრების არჩევნები შეფერხდა. ზოგან არჩევნები თითქმის ზარბაზნების გრიალის ქვეშ ხდებოდა და თავისუფალი საარჩევნო აგიტაცია [illegible] გაიქცა.

რუსეთის მუშათა კლასმა და ფართო დემოკრატიამ დამფუძნებელი კრების [illegible] ვერ გამოიყენა, ფართო მასაში ღრმათ შეჭრილი აგიტაცია ვერ გასწია და [illegible] ბამ თავი.

[illegible], ახალი მოვლენა [illegible] არ არის [illegible] დემოკრატიისათვის და იგი, სამწუხაროთ, არა სასურველ შედეგებს გამოიწვევს.

მართალია, ბოლშევიკების ავანტიურისტები ქვეყანას არწმუნებენ, თითქოს მათი ანარქისტული გზით „ძალა უფლების" ხელში ჩაგდებით, დამფუძნებელი კრების მოწვევა დაჩქარდა, მაგრამ მათ ასეთ [illegible] ყურს არავინ ათხოვებს და ფართო დემოკრატია მათ არას უჯერის.

მაგრამ საქმე ამაში არ არის. ბოლშევიკების მიერ [illegible] ტაქტიკა სხვა მხრივაც [illegible], რამდენადაც დამფუძნებელი კრებასაც [illegible] და მას ამ თავიდანვე [illegible] ემუქრებიან. უკეთუ იქ ბოლშევიკური უმრავლესობა არ იქნება და მოწვეული დამფუძნებელი კრება მუშათა საბჭოებზე არ დაეყრდნობა. ბოლშევიკების ერთი ლიდერთაგანი, სახელდობრ, ზინოვიევი, პეტროგრადის საბჭოს ერთ-ერთ კრებაზე საჯაროთ აცხადებს, რომ მოწვეული დამფუძნებელი კრება უნდა საბჭოებზე დაეყრდნოს და [illegible] დამფუძნებელი კრება [illegible], როგორც [illegible] წინასწარი პარლამენტი.

ზოგიერთი თავზე ხელ აღებული ბოლშევიკები უფრო შორს მიდიან და ამ თავიდანვე გაიძახიან: უკეთუ დამფუძნებელ კრებაზე უმრავლესობა ბოლშევიკებს არ იქნებათ ის უნდა გარეკილ იქნასო. ბოლშევიკი [illegible] ამბობს: თუ რომ „ფართო მასა შეცდება", და ბოლშევიკებს არ აირჩევს და იგი უმცირესობაში დარჩება, მაშინ დამფუძნებელი კრება „უფლება მოსპობილი" არ იქნება. მაშინ კვლავ ქუჩაში დაიძვრება აჯანყება. [illegible]: [illegible] უნდა გაიგონ, რომ ბოლშევიკების უმრავლესობა მოწვეულ დამფუძნებელ კრებაში მისცემს ხალხს „უკეთესის წყაროს", რომელიც [illegible] ჩაუდგება. [illegible], რომ დამფუძნებელ კრებაზე უმრავლესობა ბოლშევიკები იქნებიან. უკეთუ ასე არ მოხდა [illegible] დამფუძნებელი კრება ხალხის [illegible] წინააღმდეგ წავა და მაშინ ახალი აჯანყების საკითხი კვლავ წარმოიდგება. [illegible] დამფუძნებელი კრება [illegible] არ არის.

ერთი სიტყვით, დამფუძნებელი კრება, სადაც ისე ფორმდებიან საარჩევნო [illegible] ხალხის სწორი სურვილების გამომხატველი წარმომადგენლები თავს მოიყრიან, არ იქნებიან ხალხის სწორი სურვილების გამომხატველი, იქ როდესაც [illegible], ბოლშევიკების უმრავლესობა არ იქნება. ბოლშევიკების ანარქისტული აზროვნების მეთოდით, საზოგადოებრივი ძალთა განწყობილების გამოხატველი მხოლოდ და მხოლოდ ბოლშევიკების დეპუტატები იქნებიან და სხვა სოციალისტური პარტიების და ან კლასების უმრავლესობა ამას ვერ გამოხატავს.

[illegible] ბლანკისტების ფილოსოფია, ანარქისტების პოლიტიკური სიბრძნე. ბოლშევიკებს [illegible] საზოგადოებრივი ძალთა განწყობილების სწორ [illegible] ეს ბოლშევიკების დეპუტატები იქნებიან და თუ ეს არ მოხდა, მაშინ დამფუძნებელი კრება უნდა გაირეკოს და პირველ რიგში კვლავ ანარქისტული ამბოხებები და აჯანყებები უნდა დაიწყოს.

მარქსისტები მუდამ და ყოველთვის საზოგადოებრივ ძალთა განწყობილებას სოციალურ და პოლიტიკური ურთიერთობის სწორ [illegible], [illegible] ძალთა განწყობილება [illegible] ეკონომიურ ურთიერთობას, ობიექტიური პირობების [illegible] საზოგადოებრივ ინტერესების.

მაგრამ ანარქო-ბლანკისტებს ეს არ სწამთ, რადგან ისინი დიდი ხანია [illegible] მარქსისტულ აზროვნებას და დიდი ხანია დაივიწყეს მარქსისტული ცხოვრების ანალიზი. ამიტომ მათ ბლანკისტური აზროვნება [illegible] მეთოდით [illegible] და ყოველთვის ბლანკისტურათ სწყვეტენ ბოლშევიკების პატარა ჯგუფს სოციალური რევოლუციის იდეა [illegible] და ისინი ყოველ დღეს ხმარობენ ეს უტოპია უმრავლესობას ძალით მოახვიონ. ამისათვის დამფუძნებელი კრება, არც თუ ფორმდებიან საარჩევნო სისტემით არჩეული დეპუტატები ხალხის უმრავლესობის სურვილების გამომხატველი არ იქნება, ვ. ი. სოციალურ რევოლუციას ვერ მოახდენენ და ამიტომაც ყველა ეხლავე უნდა გაირეკოს. თავისთავად [illegible] ბოლშევიკები რუსეთის რევოლუციის პერმანენტულ—განუწყვეტელ რევოლუციათ გადაქცევას ჰპირდებიან და ამისათვის ემუქრებიან დამფუძნებელ კრებასაც. ანარქო-ბლანკისტები მუდმივ აჯანყებით, მუდმივი ამბოხებით ცდილობენ თავიანთ უტოპია ხალხის უმრავლესობას ძალით თავზე მოახვიონ და მით გამუდმებითი ანარქია დღიურ წესრიგში დასვან. მაგრამ მათი ასეთი ბლანკისტური ბრძოლის ტაქტიკა [illegible] დაიმსხვრევა და რუსეთის რევოლუციონური კლასები მათ შესაფერ გზას უჩვენებენ.

დაყოვნება შეუძლებელია

მთელი რიგი თვის განმავლობაში ვცდილობდით ჩვენი გლეხობა დროებითი მთავრობის დაპირების ასრულებას, მთელი რიგი თვის განმავლობაში დარწმუნებული იყო ის ამ დღეს, აი ხვალ შეიკრიბება დამფუძნებელი კრება და ჩვენს სამართლიან მოთხოვნილებას სისრულეში მოიყვანსო, მიწას მოგვცემსო.

რუსეთში ეს დაპირება აუსრულებელი რჩება. დამფუძნებელმა კრებამ, რომლის მოწვევა ასე დაგვიანდა, შეიძლება ჩაიგდოს [illegible] იმ ახლო მომავალშიც კი. მართალია, არჩევნები ხდება მთელს რუსეთში, მაგრამ ბოლშევიკების ანარქისტულმა გამოსვლამ, მათ მიერ „ძალა უფლების" ხელში ჩაგდებამ ქვეყანა არივ-დარია და სამშვიდობო [illegible] არ ჩანს.

ამიტომ ჩვენ არ შეგვიძლია გულ-ხელ დაკრეფილი ვისხდეთ და მოველოდეთ სანამ დამფუძნებელი კრება შეიკრიბებოდეს და გლეხობას მიწას მისცემდეს.

ეს კითხვა ჩვენვე უნდა გადავჭრათ ადგილობრივად.

[illegible] ჰპირდებიან [illegible] შავრაზმელები, როგორიც [illegible], [illegible]. ისინი ერთის [illegible] და შეეცდებიან ქვეყანა დაარწმუნონ იმაში, ვითომ ჩვენ სეპარატისტები ვყოფილვართ, რუსეთიდან გამოყოფას ვაპირებდეთ.

ეს ტყუილია. ადგილობრივ [illegible] მიწის საკითხის გადაჭრა სრულიად არ მოასწავებს რუსეთის ჩამოშორებას. პირიქით, მიწის საკითხის გადაჭრა შეაკავშირებს ადგილობრივ დემოკრატიას, რაც საერთოდ სრულიად რუსეთის დემოკრატიის გაძლიერებას.

ზოგიერთების ფიქრით მიწის საკითხის დღესვე წამოყენება სამოქალაქო ომს გააჩაღებს. ვინც ამას ამბობს, ის დღეს სიბეცეს იჩენს. შეუძლებელია ფიზიკურად და მორალურად არ შეხვდეს მიწის საკითხის გადაჭრას ის ხალხი, რომელიც ასე თავდადებით მთელი რიგი თვეს განმავლობაში გელოდა რეფორმებს.

პირიქით, თუ ჩვენ დღესვე არ დავაკმაყოფილეთ ხალხი, დემოკრატია დასუსტდება და მის რაზმებში არევ დარევა იქნება შეტანილი.

თათართა შორის უკვე ჩანს ამის შედეგები. იქ დღეს ც ბეგები ბატონობენ. ხალხი, ცხადია, რევოლუციას არ თანაუგრძნობს, რადგან ამ რევოლუციამ მას არაფერი მისცა.

ასეთივე დამაფიქრებელია აფხაზეთის მდგომარეობა. აფხაზეთში აჰყვნენ თავიანთ ძველ პატრონებს, თავად აზნაურებს, მათ ზურგი აქციეს მეზობელ დემოკრატიას და მთიულთა კავშირში ამოჰყვეს თავი. მათ მაგალითს მიჰყვებიან ჩვენი მეზობელი ოსებიც.

მიწის საკითხის დღესვე გადაჭრა ნაადრევს გამოაცლის ყველა ჯურის ნაციონალისტებს და მუქთა ხორებს, რომელთაც შეუსაბამო მასა მიჰყვება. დასვით დღიურ წესრიგში მიწის საკითხი, ჩამოართვით მიწები მემამულეებს და ეკლესია-მონასტრებს და თქვენ ნახავთ როგორ ჩქარა ჩამოშორდება ხალხი დღევანდელ სხვა მეთაურ [illegible], მეტყუარა მეთაურებს.

როგორ შეიძლება ამ საკითხის პრაქტიკული განხორციელება.

საჭიროა სასოფლო-სამეურნეო კომიტეტებმა გამოარკვიონ მიწის რაოდენობა, თავდაპირველად უნდა მოხდეს, რასაკვირველია, ამ კომიტეტში რეორგანიზაცია დემოკრატიულ ნიადაგზე, ხოლო სადაც კომიტეტები არ არსებობენ, იქ ახალი უნდა იქნას დაარსებული. უპირველეს ყოვლისა უნდა გამოიცეს დეკრეტი მიწების კონფისკაციის შესახებ.

მიწების ერთი ნაწილი დღესვე შეიძლება ხალხს გადაეცეს. ეს არის სახაზინო და საუფლისწულო მიწები. ხიზნებს უკვე ფაქტიურათ უპყრიათ მიწების განსაზღვრული ნაწილი, ეს მიწები მათს მფლობელობაშია. მხოლოდ მესაკუთრეთა თვალები მემამულეთ და დალასტ იღებს ხიზნისაგან. ეს დამოკიდებულება ერთი კალმის მოსმით შეიძლება გაუქმდეს. გამოაცხადეთ ხიზანი მესაკუთრეთ, მიეცით მას ის მიწა, რომლითაც ფლობს და საქმე გათავებულია.

ცხადია, ასეთ მესაკუთრეთ უნდა გამოცხადდენ ხიზნებთან ერთად ყველა ის, ვინც ხიზნობას დაობს ასეთები ბევრია. მთელი წლების განმავლობაში ამუშავებენ ისინი მემამულეების მიწებს, იქვე მოსახლეობენ, გადასახადს არხებთ და სხვ. მაგრამ მემამულეებმა თავისებურ ხრიკების საშუალებით მოახერხეს მათი არენდატორებათ გამოცხადება. ასეთები ქართლში მთელი სოფლებია.

ერთი სიტყვით ყველა ხიზანი, ყველა მოიჯარადრე, ყველა ის, რომელსაც სახაზინო მიწა უპყრავს დღესვე მესაკუთრეთ უნდა იქნას გამოცხადებული. უნდა მოისპოს აგრეთვე ყოფილ დროებით ვალდებულების მიერ ხაზინაში გამოსყიდულ მიწების გადასახადის შეტანა და მემამულეებს მოესპოს ხაზინიდან ამ ფულის ძლევა.

ყველა დანარჩენი მიწები დღესვე უნდა ჩამოერთვას მემამულეებს და ეკლესია-მონასტრებს და კომიტეტების განკარგულებაში გადავიდეს.

დაყოვნება შეუძლებელია.

ეროვნული ყრილობა

ამ თვის 19 თფილისში, სახელმწიფო თეატრის შენობაში, შესდგა ერთ წოდებული ეროვნული ყრილობა. ჩვენი ნაციონალისტები არაფერს არ მალავდნენ, რომ კრებისთვის თავისებური ხასიათი მიეცათ. ამისთვის მოწვეულ იქნა ყრილობაზე მრავალი ისეთი დაწესებულება, რომელსაც ქართველ ხალხის სულიერ ლტოლვათა გამოხატულებასთან არავითარი კავშირი არა აქვს. ასეთია, მაგალითად, გარეულ ქალთა საჩაიე, ან ქართველ სტუდენტთა წარმომადგენლობა! ასეთია ყრილობის შემადგენლობა.

თვით მაზრისის გაყალბებასაც შეეცადნენ ამით ჩვენი ნაციონალისტები, ისინი შეეცდებიან მისცენ ყრილობას დამფუძნებელ კრების ხასიათი, დაუკავშირონ მას ნაციონალური პრობლემების გადაჭრა.

ქართველი დემოკრატია ვერ გაიზიარებს ნაციონალისტების შეხედულებას ამ საგანზე, ის კვეთს ვერ დაუკრავს მათი სურვილების განხორციელებას. ეს ყრილობა მოწვეულია განსაკუთრებული მიზნით—თავად-აზნაურობის ქონების მოსაგვარებლად და თუმცა ყრილობის დანიშვნის შემდეგ პოლიტიკური ვითარება საგრძნობლად შეიცვალა და თავად-აზნაურობის ქონების მოვლა-პატრონობის საკითხთან ერთად სხვა უფრო მნიშვნელოვანი საკითხები დაისვა გადასაჭრელად, მაგრამ ეს ყრილობა თავისი შემადგენლობით მოწოდებული არ არის ეროვნული მნიშვნელობის საკითხები გადაჭრას.

ამიტომ ამ ყრილობას თავიდანვე უნდა მიეუთითოთ მის დანიშნულებაზე: ის შექმნის დროებითი საბჭოს აღნიშნულ ქონების მოსავლელათ და ამავე დროებითი საბჭოს დაეკისრება მასალები დაამზადოს მომავალ ეროვნულ თვითმართველობის განხორციელებისათვის. ეს უკანასკნელი საქმე კი სავსებით დამფუძნებელ კრების კომპეტენციას შეადგენს, სულ ერთია შეიკრიბება ის რუსეთში თუ დღევანდელ პოლიტიკურ ვითარების გამო, შეიკრიბება მხოლოდ ამიერ კავკასიის საარჩევნო ოლქის დეპუტატთა კრება.

პრესა

„ბრძოლა" ძალზე ტოკავს. მას ვერ მოუნელებია ის, რომ ბოლშევიკების ავანტიურა არ მოეწონათ.

ყველაზე უფრო ხტის „ბრძენი" თელორი. მას საკმაოთ მიაჩნია მოიყვანოს ესა თუ ის ბრძნული ანდაზა და საქმე გათავებულია გონია.

„არ გათეთრდება ყორანი"—რახით იწყებს თელორი.

ჩვენც გვიწნებით ბოლშევიკების მეტოვრეს, რომ „ყორანი მართლა არ გათეთრდება". მეტ-

ილაც ეტყვით თედორეს: „კუზიანს საფლავი გაასწორებს". მართალია, დღეს ბავშვიც კი ხედავს, თუ როგორი უფსკრულამდე მიიყვანა რუსეთი ბოლშევიკების გამოსვლამ, როგორ გამოიწვია სამოქალაქო ომი და ძმათა შორის სისხლის ღვრა. ყოველი ჭკუიანი და რიგიანი ადამიანი ამ მოვლენას ჩაუკვირდებოდა, მის ძებნიდა მის მიზეზებს.

ჩვენი თედორე კი გამომდგარა და ამაყად გაიძახის: „დღეს ჩვენ ვხედავთ, რომ გამარჯვებული ბრძოლის ველზე რევოლუციონური ბანაკია. დღეს ყველასათვის ცხადია, რომ დროშა ბოლშევიზმის არის დროშა კლასიური, დროშა სოციალისტური პროლეტარიატის" და სხვ.

სინამდვილემ კი დაგვანახვა, რომ დროშა ბოლშევიზმის, არის დროშა ავანტიურისტული, ამ დროშამ ახმედრა პროლეტარიატის ერთი ნაწილი მეორეს წინააღმდეგ, ამ დროშამ გაარღვია რევოლუციონური დემოკრატიის მთლიანი ფრონტი. ბოლშევიკებს კი უხარიათ.

და მხოლოდ ჩვენ ვერ ვხედავთ თურმე, რომ „ხდება სოციალისტური რევოლუცია". ჩვენ თურმე ვერ ვხედავთ, რომ „ბოლშევიკები უდიდესი პოლიტიკური, მასიური პარტიაა, „ბოლშევიკები ხიშტზე კი არ არიან გამაგრებულნი" და სხვ.

საბუთი? რა საჭიროა საბუთები თედორეებისათვის, როცა მათ ხელთ არის იაფი დემაგოგია. ხიშტებს არ ვემყარებითო. მაშ რა არის, თუ არ ხიშტებზე დამყარება, დემოკრატიულ ორგანიზაციების გარეკვა, გაზეთების დახურვა. რა არის, თუ არ ხიშტებზე დაყრდნობა, როცა თვით დამფუძნებელ კრების გარეკვას ფიქრობენ ბოლშევიკების ლიდერები შესაძლებლად, თუ ეს დამფუძნებელი კრება ბოლშევიკურ ჰანგებზე არ იმღერებს.

როცა ჩვენ, ცოდვილები შესაძლებლად ვერ ვცნობთ მოვშორდეთ ამ ცოდვილ მიწას, როცა ჩვენ არ შეგვიძლია ანგარიში არ გავუწიოთ არსებულ პირობებს, ჩვენს მიმინოს—თედორეს, რასაკვირველია ამის გაგება არ შეუძლია და ის თავისებურად, ერთი დაკვრით სწყვეტს ამ კითხვას:

„Рожденный ползать летать не может".

„ხოხვისთვის დაბადებული ფრენას ვერ შესძლებსო" გვეუბნება რაინდი.

„Безумству храбрыхъ поемъ мы славу. Безумство храбрыхъ—вотъ мудрость жизни".

„რაინდის სიგიჟე"—აი თედორეს იდეალი. რა აქვს ამას საერთო პროლეტარიატის მასიურ მოძრაობასთან!

პატარა შენიშვნები

I

ბოლშევიკების საზავო ნაბიჯები.

ზავი გადაიქცა მთელი დემოკრატიის საერთო მოთხოვნილებათ. დაუსრულებელმა ომმა ყველას თავი მოაბეზრა და უზარმაზარი რუსეთი დაღუპვის კარამდე მიიყვანა. კოალიციურმა დროებითი მთავრობამ ვერ შესძლო ზავის ჩამოგდება, რომ ამ ერთად ერთი გზით ერთის მხრით ეხსნა რუსეთი სრულ განადგურებისაგან და მეორეს—გადაერჩინა რევოლუცია. მისმა რყევის პოლიტიკამ ნიადაგი მოუმზადა ბოლშევიკურ ანარქიის გამეფებას და რევოლუციაც დიდ საფრთხეში ჩააგდო. იმედ გაცრუებულმა და სასოწარკვეთილებას მიცემულმა ჯარისა და პროლეტარიატის ნაწილმა ბოლშევიკებისაკენ მიაპყრეს იმედის თვალი, ვინაიდან ამათ (ბოლშევიკები) სწრაფად დაუყოვნებლივ ზავის ჩამოგდებას პირდებოდენ ქვეყანას.

დაუყოვნებლივ ზავის ჩამოგდების სურვილით შეპყრობილმა ჯარის და პროლეტარიატის ნაწილებმა ბოლშევიკურ ფრაზეოლოგიის გავლენით სრულიად დაივიწყეს, რომ ზავის ჩამოსაგდებათ მარტო სურვილი არ კმარა, არამედ საჭიროა სხვაც ბევრი რამ; მაგრამ ლენინ-ტროცკი ძალა უფლების ხელში ჩაგდების მიზნით არაფერს არ ერიდებოდენ და ვექსილების გაცემაშიაც დიდ სიუხვეს იჩენდენ. მიზანსაც მიაღწიეს: „ძალა-უფლება" ხელში ჩაიგდეს. დადგა დრო გაცემულ ვექსილების განაღდებისა, მაგრამ ვექსილის გაცემა უფრო ადვილი საქმე აღმოჩნდა, ვინემ მისი განაღდება. დაიწყო ბოლშევიკების უკან დახევა. „საზავო პოლიტიკის წარმოება სრულიადაც არ ნიშნავს დაუყოვნებლივ ზავის ჩამოგდებასო", განაცხადა პირველ დღესვე ლენინმა, მაგრამ ამ განცხადებამ ვერ მოახდინა შესაფერი შთაბეჭდილება: ჯარი და პროლეტარიატი მოითხოვდა არა მარტო საზავო პოლიტიკის წარმოებაზე შეჩერებას, არამედ დაუყოვნებელ ზავს. ბოლშევიკები ჩიხში მოექცნენ და წყალ წაღებულის მზგავსად ხავს წაეპოტინენ: გამოუშვეს დეკრეტი და კრილენკოს პირით ჯარისკაცებს მიმართეს წინადადებით დაეწყოთ მოწინააღმდეგე კოალიციის ჯარებთან საზავო მოლაპარაკება.

ამ გზამ სამართლიანი აურ-ზაური და გულის წყრომა გამოიწვია არა მარტო არა ბოლშევიკურ წრეებში, არამედ თვით ბოლშევიკებშიაც კი. ბოლშევიკი ჩუდნოვსკი ასეთ ნაბიჯს კოლოსალურ უტაქტობას და ქარაფშუტობას უწოდებს; გმობს მას და დიდ შეცდომათ აღიარებს მემარცხენე ესერთა წარმომადგენელი ლევინიც. მაგრამ შეუპოვარი რაინდი ლენინი აქაც ნახულობს გამოსავალს და აცხადებს, რომ მათ ჯარისკაცებს მისცეს უფლება გაემართათ მოლაპარაკება დროებით შერიგების შესახებ, ხოლო დროებით შერიგების ჩამოგდების უფლება კი არა აქვთ.

რას ნიშნავს ეს? განა ეს დაცინვა არ არის? დაუყოვნებლივ ზავის ჩამოგდების ნაცვლად საზავო პოლიტიკის წარმოება გამოაცხადეს, მერე ჯარისკაცთ უფლება მისცეს მოლაპარაკება გამართონ დროებითი ზავის შესახებ, ხოლო დროებით ზავის შეკვრა კი არ გაბედონ! აქ დაპირებიდან დაწყებული ყველაფერია თვით ცინიკურ დაცინვამდე, ხოლო ვექსილი კი გაუნაღდებელი რჩება.

ივ. ჭავჭანიძე.

პეტროგრადის ამბები

(გაზეთებიდან)

სმოლნი ინსტიტუტში.

შესავლელ კარებთან დგას ორი ტყვიისმფრქვეველი, ერთი დიდი და მეორე ჩვეულებრივი, როგორიც ქუჩაში გამოაქვთ „გამოსვლების" დროს. ეს არის ნამდვილი სიმბოლო „სახალხო კომისარების" გამგეობისა. შიგნით საშინელი არეულობაა: ყველგან ჭუჭყი და მტვერი და ქაღალდის ნაგლეჯები ჰყრია. ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტის ყოფილი მრავალი განყოფილებები აღარ მუშაობენ. ადგილობრივ თვითმმართველობის განყოფილების ოთახში სამხედრო-საგამომძიებლო კომისია არის მოთავსებული, საიურიდიოში სატუსაღო ოთახი, მის პირდაპირ ოთახში თვით „კომისარების საბჭო". მესამე სართულში ასვლა სასტიკად აკრძალულია, თუ ვინმე არ შეამოწმეს.

სატუსაღო ოთახთან სდგას ორი სკამი, რომელზედაც სხედან ტუსაღების სანახავად მოსული მანდილოსნები. ერთი მათგანს შეეკითხე: თქვენ ვის სანახავად მოსულხართ? ჩემს სანახავათ,—მიპასუხა იქვე მდგომმა პოდპორუჩიკმა. როგორც სჩანს, ტუსაღების ნახვა იქვე დერეფანში სწარმოებს. ახლოს კი რამდენჯერმე გაიარა პრემიერ-მინისტრმა ულიანოვმა, რომელსაც ყურადღება არც კი მიუქცევია მათთვის, რადგან, ალბათ, დიდ სახელმწიფოებრივ საქმეებში იყო გართული.

გაზეთებიდან მე გავიგე, რომ დატუსაღებულია იუდინი, მენშევიკთა ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტის წევრი, რომელიც ამ ცოტა ხნის წინეთ პარტიის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტის წევრი იყო. გაზეთებში ცნობა იყო მოთავსებული, თითქოს მას კადეტებთან ერთად დაეწყოს რაღაც თეთრი გვარდიის შედგენა. მე ვიცნობ ამხ. იუდინს, როგორც მემარჯვენე „ობორონეცს", და ეს ამბავი დაუჯერებლად მეჩვენა. მინდოდა გამეგო რაში იყო საქმე. შევედი სამხედრო-საგამომძიებლო კომისიის ოთახში. მაგიდასთან ზის 22—23 წლის ახალგაზრდა მეზღვაური, როგორც გადმოვეცა, გაზეთში მართალა ყოფილა ასეთი განცხადება მოთავსებული. ასე მეზღვაურმა დამიმტკიცა: „იუდინმა პოლკში მიტინგზე სთქვა, რომ ის საბჭოს სამინისტროს წინააღმდეგია".—მაშ მეც დამატუსაღეთ, მეც საბჭოს სამინისტროს წინააღმდეგი ვარ,—ვუპასუხე მე,—მარტო ამისთვის კი არა, კიდევ თეთრი გვარდიისთვის,—მიპასუხა მეზღვაურმა.

აშკარა იყო, მეზღვაური ვერაფერს გამაგებინებდა. გავიგე, რომ საგამომძიებლო კომისიაში ორი იურისტი არის კრასიკოვი და... კოზლოვსკი. ის კოზლოვსკი, რომელსაც იულისის დღეების შემდეგ ჯაშუშობას და მოღალატეობას აბრალებდენ. მე მაშინ გაზეთ „ნოვაია ჟიზნ"-ში წერილი მქონდა, სადაც ვამბობდი, რომ გამოქვეყნებული მიწერ-მოწერის ქაღალდები ნიშნავს იმას, რომ კოზლოვსკი განსცეს და, ვგონებ, პარვუსის რწმუნებულად იყო სავაჭრო საქმეებში. ეს მე საბუთებითაც დავამტკიცე.

მე მგონია ის კაცი, რომელმაც თვით განიცადა ყველაფერი, და რომელსაც მოღალატეობას აბრალებდენ ადვილად მიხვდება რა გვარი სიფრთხილეა საჭირო, როცა კაცს პოლიტიკურ დანაშაულობას აბრალებენ. მაგრამ მისგან სულ სხვა გავიგონე, გამომძიებელი კოზლოვსკი მეტად სასტიკი და შეუბრალებელი იყო ამ დროს.

წაიკითხეს შეკითხვის ოქმი, რომელიც ზემოთ აღნიშნულ მეზღვაურს შეედგინა. ოქმი მეტად უხეიროთ იყო შედგენილი, ძლივს ძლივობით გავიგეთ, რომ იმ კამანდაში, სადაც იუდინი მსახურობდა, მივიდა ვიღაც მუშა ვასილიევი და სთქვა, რომ იუდინი თეთრ გვარდიას ეკუთვნისო. გამომძიებელ კაზლოვსკის უნდოდა გამოეწვია ეს „მოწმე". დიდი სჯა-ბაასის შემდეგ გადასწყვიტეს გამოეწვიათ თვით „დამნაშავე".

რაზე ელაპარაკა გამომძიებელი კოზლოვსკი „დამნაშავეს" ნახევარი საათის განმავლობაში მე ვერ გავიგე. შემდეგ დამიძახეს მე. გამომძიებელი მეუბნება:—ამ იუდინს არ უნდა ხელწერილი მოგვცეს, რომ ის არავითარ შეთქმულობაში მონაწილეობას არ ღებულობდა და არ მიიღებს. როგორც იყო დავაჯერე „დამნაშავე", რომ მას, როგორც სოციალ-დემოკრატს თამამათ შეუძლია მისცეს ასეთი ხელწერილი.

ბოლოს როგორც იქნა გათავდა ეს კომედია. მაგრამ მარტო იუდინი ხომ არ იყო დატუსაღებული, მის გარდა პეტროგრადში 400 კაცი არის კიდევ დატუსაღებული. დატუსაღებულ აფიცრებში მრავალია ისეთი, რომლებიც დიდი ხანი არ არის რაც დაბრუნდენ ამნისტიით კატორღიდან და ციმბირიდან, ნამდვილი სოც.-დემოკრატები და ს.-რევოლუციონერები. იგინიც კონტრ-რევოლუციონერებათ მონათლეს. იქვე ზის ყოფილი კატორღელი ჩრდილოეთ ფრონტის კომისარი ვოიტინსკი. გამომძიებელი კოზლოვსკი მას სთვლის რევოლუციის ერთ სასტიკ მტრათ.

იქვე წავაწყდი სანიტრების სურათს, ოთახში დადის ვიღაც კაცი,—ან ფეხარი უნდა ყოფილიყო, ან ნოქარი. ლაპარაკი გავიგე.

— ირინოვსკის რკინის გზით მოვდიოდი—დაიწყო მან, გზაში ჩემს გვერდით ისხდა მეზღვაური და მუშა. დავიწყეთ სხვადასხვა რამეებზე ლაპარაკი. კერენსკის პირადათ პატიოსან კაცათ ვსთვლი—ვსთქვი მე. გაიგონეს თუ არა ეს, მომაყვირეს ეხლავე დაგიჭერთო. მოვედით ქალაქში და მომიყვანეს აქ. აქ მეზღვაურმა გაარჩია ჩემი საქმე და მეუბნება: „იჯექი აქ სანამ მოვიდე და როცა შევბრუნდები, მე შენ გაგიშვებო". ასე მიამბო თავის გაჭირვება ვაჭარმა. აქედან ცხადია, როგორ უზრუნველად სჭრიან და ჰკერვენ რუსეთის მოქალაქეთა საქმეებს სმოლნი ინსტიტუტის მეზღვაური და გამომძიებელი. (ნ. პილეცკი „ნ. ჟ.").

დეპეშები

(პ. დ. ს. 20 ნოემბერი)

პეტროგრადი. გუშინ სახელმწიფო ბანკიდან სახალხო კომისრებს მისცეს მოკლევადიანი სესხი, 5 მილიონი მანეთი.

ჩრდილოეთის ფრონტის სურსათის მიწოდების საქმე გამოკეთდა. უკანასკნელ თვეში მოვიდა 200 ვაგონი პური.

სხვადასხვა ადგილებიდან ცნობები მოდის დამფუძნებელ კრების არჩევნებას შესახებ. კალუგის გუბერნიის სამაზრო ქალაქებში კადეტებმა გაიმარჯვეს, გლეხებმა ს.-რევოლუციონერებს და ბოლშევიკებს მისცეს ხმა. თვით კალუგაში კადეტებმა მიიღეს 6 857 ხმა, ს.-რევოლუციონერებმა—3.691, ბოლშევიკებმა—3 454, მენშევიკებმა—2 321. იალტის თათრები ძალიან დაინტერესებული არიან არჩევნებით. აქ ს. რევ. მიიღეს 4 228 ხმა, კადეტებმა—3 520. ბერდიანსკის მაზრაში არჩევნები 21 ნოემბრისათვის გადაიდო. ხარბინში უმეტესობა მენშევიკები აირჩიეს, შემდეგ ბოლშევიკები, კადეტები და ს.-რევოლუციონერები.

ჩამოგდებულ დროებითი მთავრობას აზრათ ჰქონდა თავის მოწოდებით ზავის ხელშეკრულობების გაქარწყლება, დუხონინის უფლებების განმტკიცება და აგრეთვე ის, რომ შეძლება მიეცა მოკავშირეებისთვის დასწრებოდა პარიზის კონფერენციას. აღმოაჩინეს საბჭოს მთავრობის წინააღმდეგ კონტრ რევოლუციონური შეთქმულება, რომელშიაც მონაწილეობას ღებულობდენ მემარჯვენე კადეტები და ს.-რევოლუციონერების ცნობილი მოღვაწენი. შეთქმულება ჩაქრეს. დაიჭირეს გენერალი მარუშევსკი და პეტრე-პავლეს ციხეში გაგზავნეს, მასთან ერთად დაატუსაღეს მეთექსმეტე დივიზიის უფროსი კოვალი.

სახელმწიფო ბანკში ქაღალდის ფულების განყოფილება მუშაობს. მოსამსახურენი განგრძობილ შრომას ეწევიან.

ახალი ამბები

◆ **საღამოს კურსები.** პროფესიონალურ კავშირთა ცენტრალური ბიურო ხსნის ექვს რაიონში საღამოს კურსებს პროფესიონალურ კავშირების წევრთათვის. კურსებზე ასწავლიან: წერა-კითხვას (ორ ენაზე, რომელსაც მსმენელი მოისურვებს) ანგარიშს, გეოგრაფიას და ისტორიას, ქალებს ჭრა-კერვას. კვირაობით გაიმართება სალიტერატურო და სამუსიკო დილები. მეცადინეობა იქნება საღამოს 5—8 ს. მსმენელთა მიღება დაიწყო გუშინ 20 ნოემბერს. ჯერ ოთხ ადგილას: 1) ხარფუხში პუშკინის პირველ საქალაქო სასწავლებელში, 2) ავლაბარში—(ციციანოვის აღმართი) ტურბინ-მინასის სასწავლებელში, 3) მესამე და მეოთხე უბანში გაიანეს სასწავლებელში, 4) ნაძალადევში ბოტეს სახლში.

◆ **ყასბების განცხადება.** თფილისის ყასბებმა განცხადება წარუდგინეს ქალაქის მოურავს ნ. ზ. ელიავას, რომლითაც სთხოვენ მას გააუმჯობესოს სასაკლაო. სამაგიეროთ ყასბები ჰპირდებიან ხორცს 1 მ. 40 კ. გაყიდვით.

◆ **შრომის ბირჟა.** 25 ნოემბერს ყოფილ სასტუმრო „ლონდონი"-ს შენობაში, ალექსანდროვის ბაღის ქვემოდ ნ გაიხსნება შრომის ბირჟა. ბირჟა ღია იქნება დილის 10—3 საათამდე, ხოლო კვირა უქმე დღეებში 10—12 საათამდე.

◆ **ქართული წარმოდგენა ავლაბარში.** დღეს ავლაბრის თეატრ „პალასში" ქართული დრამატიული დასის არტისტები წარმოადგენენ „სამშობლოს". უმთავრესი როლები განაწილებული აქვთ დასის საუკეთესო ძალებს.

◆ **კრება** 17 ნოემბერს მოხდა ამიერ კავკასიის საოლქო სახელოსნო-სამრეწველო კომიტეტის ბიუროსი. კრებაზე მოხსენება წაიკითხა ინჟ. ბულაევსკიმ, ბიურომ გადასწყვიტა მიესალმოს ამიერ-კავკასიის კომისარიატს.

◆ **სამგლოვიარო წერილი.** მეტათ დაგვაღონა გურიის დემოკრატიის ერთ შეგნებულ წევრთაგანის, რაფიელ ალ. რამიშვილის და დავით კაკაბაძის უდროოდ გარდაცვალებამ. ვუერთდებით ჩვენს ღრმა მწუხარებას მათი ნათესავებისა და ამხანაგ-მეგობრების მწუხარებას. რაფიელ, ონიფანტე და დავით რამიშვილები. ქ. ბათომი.

◆ **ვიპოვნე** თფილისის სადგურზე სხვა და სხვა დოკუმენტები ნიკიფორე თეიმურაზის ძე მეძმარიშვილის სახელზე დაწერილი. პატრონს შეუძლია მოიკითხოს კანტორა „განათლებაში" ნესტორ ჭანტურიაძესთან.

კრებები და მიტინგები.

დღეს, საღამოს 7 საათზე, მეოთხე და მეექვსე რაიონის კოლექტივები რ. ს. დ. მ. პ. იწვევს ორივე რაიონის პარტიის წევრთა კრებას მერვე ლაზარეთში, კუთხე გოლოვინის პროსპექტისა და ბარიათინის ქუჩის. ამხანაგებს სთხოვენ არ დაიგვიანონ და აუცილებლად დაესწრონ.

— დღეს, საღამოს 7 საათზე, დანიშნულია მუშათა და ჯარის-კაცთა დეპუტატების საბჭოს მუშათა სექციის მორიგი კრება. გასარჩევია მნიშვნელოვანი საკითხები. სთხოვენ ყველანი დაესწრონ. ხელ-ახლა ამოირჩევა სექციის წევრი და მდივანი.

დამფუძნებელი კრების არჩევნები

ხმების დათვლა

ფოთი. 14 ნოემბ. დასრულდა დამფ. კრების არჩევნები. როგორც მოსალოდნელი იყო, გამარჯვება კვლავ ჩვენს პარტიას ერგო. არჩევნებში მონაწილეობა უნდა მიეღო 6208 კაცს (ჯარისკაცებითურთ). მონაწილეობა არ მიუღია 1906 კაცს. 4302 ამომრჩევლიდან ჩვენი პარტიის სიამ № 1 მიიღო 2729 ხმა, კადეტებმა—46, სოც.-რევოლ.—573, დაშნაკელებმა—68, ბოლშევიკებმა—108, ფედერ.—886, ნაც.-დემოკრატიებმა—372, სახალხო სოციალისტებმა—1, სიონისტებმა—19.

ჩვენი ამხანაგები—რუსის და რუსეთის საზ.-ბების და პარტიის მოსამსახურეები იძულებული შეიქნენ ხმები მიეცათ შავი ზღვის ფლოტის საარჩევნო ოლქში. მათ ხმები მისცეს (49 კაცმა). ამხ. კონტორაძის (ს. დ. გაერთიანებულ ჯგუფისა), რომელიც წამოყენებულია ქ. სევასტოპოლიდან. ჩვენ მოგვაკლდა აგრეთვე ქართველ ჯარისკაცების ის 350 ხმა, რომელიც ჩვენ მივიღეთ ქალაქის არჩევნების დროს. თუ ამ გარემოებას მივიღებთ ჩვენ მხედველობაში, ხმები ამ არჩევნების დროს არამც თუ არ დაგვაკლდებია,—პირიქით,—მოგვემატა კიდეც.

შ. ჩოჩია.

ქ. ახალ სენაკი. ქალაქში არჩევნები უკვე დასრულდა. სოც. დემ. მენშევიკებმა მიიღეს 715 ხმა, ერ.-დემ.—422, ესერებმა—156, ფედერალისტებმა—105, კადეტებმა—5 და ბოლშევიკებმა—5.

მაზრაში არჩევნები აწყობილად მიმდინარეობს. მცხოვრებნი დიდის ინტერესით ეკიდებიან არჩევნებს. ყველა ხმის მქონე ცდილობს ხმა არ დაკარგოს.

ასეთივე სიცხოველე ეტყობა არჩევნებს ზუგდიდის მაზრაშიაც. ამომრჩევლებში მეტ სიმპატიით სია № 1 სარგებლობს. როგორც ყოველთვის, სამეგრელოს მშრომელი მასსა თავის ინტერესების დაცვას ეხლაც სოციალ-დემოკრატიულ პარტიას ანდობს.

აქსტაფა. მენშევიკებმა მიიღეს 391 ხმა, კადეტებმა—8, ესერებმა—86, დაშნაკელებმა—9, ბოლშევიკებმა—13, ს.-ფედერალისტებმა—12, თათრის ს.-დ. პარტია „ჰუმმეტმა"—243 ხმა.

მაკვალ-ნაბარიძლი (გურია). არჩევნებში მონაწილეობა მიიღო 1852 კაცმა. მენშევიკებმა მიიღეს 1591 ხმა, ესერებმა—61.

ხონი. მენშევიკებმა მიიღეს 2627 ხმა ბოლშევიკებმა—1, ესერებმა—28, ს.-ფედერალისტებმა—39, ნაციონალ-დემოკრატებმა—193.

ქუთაისი. მენშევიკებმა მიიღეს 9000 ხმა, კადეტებმა—215, ესერებმა—3024, დაშნაკელებმა—227, ბოლშევიკებმა 1243, სოც.-ფედერალისტებმა—2366, ნაციონალ-დემოკრატებმა—1467, სიონისტებმა—63.

ყვირილა. მენშევიკებმა მიიღეს 858 ხმა, ს. რევოლიუციონერებმა—54, ს.-ფედერალისტებმა—90, ნაც.-დემოკრატ. 348, ბოლშევიკებმა—5, ხალ. სოციალისტებმა—2.

ქობულეთი. ქობულეთის რაიონში მენშევიკებმა მიიღეს 4700 ხმა, ეროვნულ დემოკრატებმა—1198, ს.-ფედერალისტებმა—140, ქობულეთლებმა გადასწყვიტეს ძმურათ ხელი მისცენ გურულ გლეხებს. ეს მათ კიდეც დაამტკიცეს.

ნიგოითი. დამფუძნებელ კრების არჩევნებს საზოგადოება ხალისიანად მოეკიდა. საარჩევნო სიაში შეტანილი იყო სულ 1359 ამომრჩეველი. მონაწილეობა მიიღო 1297 ამომრჩეველმა. საარჩევნო ყუთთან გარდა კომისიისა თვალ-ყურს ადევნებდენ სოც.-დემოკრატების და ფედერალისტების წარმომადგენლები. არავითარ უკმაყოფილებას ადგილი არ ჰქონია. 18 ნოემბერს ორი საათის შემდეგ ხმები დათვლილ იქნა: მიიღო მენშევიკებმა—1264 ხმა, ესერებმა—3 ხმა, ბოლშევიკებმა—10 ხმა და ს.-ფედერალისტებმა 20 ხმა.

თფილისი. არჩევნების შედეგი საბოლოოთ გამოირკვა: მენშევიკებმა მიიღეს: 32,182, კადეტებმა 9,628, ესერებმა 11,551, დაშნაკელებმა 20,183, ბოლშევიკებმა 19,527, ს.-ფედერალისტებმა 3,510, სოციალ. სახ. პარტიამ 1,617, ეროვნ. დემოკრ. 3,287, სახალხო სოციალისტებმა 262, „მუსავატ" 344, მუსულ. ს.-დ. „ჰუმმეტ" 426, მუსულმანთა სოც. ბლოკი 445, დასავლეთ კავკასიის მუსულმანებმა 4, რუსეთის მუსულმანებმა 2, სიონისტებმა 764, რადიკალ დემოკრატებმა 45.

პროვინციის ქრონიკა

ს. დიდი ჯიხაიში. დამფუძნებელ კრების არჩევნები [illegible]. მოსახლეობა და ახალგაზრდა ყველა აღფრთოვანებით მიემართებოდა [illegible] 11—2 დღე საარჩევნო დარბაზის წინ გრძელი კუდები გაკეთდა № 1-ს სრული გამარჯვება უზრუნველყოფილია. სხვა და სხვა ნომრებით შორის ხუთ ნომერსაც არჩევენ ამომრჩევლებს ხელში, მაგრამ გასავალი კი ძალიან ცოტა აქვთ.

ბათუმის ქართულ სკოლაში საჭიროა მასწავლებელი. პირობები: ორი ათასი მანეთი წლიურად, უბინოთ. თხოვნები გამოიგზავნება წ. კ. ს. ბათუმის განყოფილების თავმჯდომარის ექიმ გრიგოლ ელიავას სახელზე.

ქართული ეროვნული ყრილობა

19 ნოემბერს თფილისში გაიხსნა პირველი ქართული ეროვნული ყრილობა. ჯერ-ჯერობით გამოცხადდა ორასამდე დელეგატი. დაესწრო აუარებელი გარეშე პირებიც. თუ მივიღებთ მხედველობაში, რომ ყრილობაზე წარმოდგენილია მხოლოდ ისეთი ორგანიზაცია, რომელიც არავითარ როლს არ თამაშობს ქართულ საზოგადოებრივ-კულტურულ ცხოვრებაში, ხოლო მეორეს მხრით ბევრი მნიშვნელოვანი ორგანიზაციები, მაგ., გლეხთა დეპუტატების საბჭოები არ არიან მოწვეული ყრილობაზე,—ჩვენთვის ცხადი იქნება, რომ ეს ყრილობა ვერ გამოხატავს სისწორით ქართველი ხალხის სულის კვეთებას. ეს უკანასკნელი გარემოება აღნიშნა კიდეც თვით ინტერპარტიული საბჭოს წარმომადგენლის მიერ. ყრილობას დაესწრო უცხო სახელმწიფოთა წარმომადგენლები, მეზობელ ერთა წარმომადგენლები. კავკასიის ჯარის უფროსი პრჟევალსკი, ქართული კორპუსის უფროსი სტ. ახმეტელაშვილი, ამიერ-კავკასიის კომისარიატის წევრები, საქართველოს კათალიკოსი კირიონი და სხ. ინტერპარტიული საბჭოს სახელით ყრილობა გახსნა ვრცელი სიტყვით ამხ. აკაკი ჩხენკელმა, რომლის გამოსვლას მქუხარე ტაშისცემათ და ოვაციებით შეხვდნენ დამსწრენი*).

სიტყვის დასასრულ მან წაიკითხა ინტერპარტიულ საბჭოს მიერ შემუშავებული სია პრეზიდიუმის წევრებისა, რომელიც ყრილობამ ერთხმათ მიიღო. ამ სიის თანახმათ ყრილობის თავმჯდომარეთ არჩეულ იქნა ამხ. ნოე ჟორდანია, თავმჯდომარის ამხანაგებათ აირჩიეს გ. ლასხიშვილი, გრ. ვეშაპელი, ვლ. გობეჩია და აკაკი ჩხენკელი; მდივნებათ—გრ. ურატაძე, ს. დადიანი, შ. გაბაშვილი, ივ. გომართელი.

ნოე ჟორდანია იკავებს თავმჯდომარის ადგილს და შემდეგის სიტყვით მიმართავს დამსწრეთ:

მოქალაქენო! ნება მიბოძეთ უპირველეს ყოვლისა მოგესალმოთ და მოგიძღვნათ გულითადი მადლობა იმ ნდობისათვის, რომელიც თქვენ გამოგვიცხადეთ მე და ჩემს ამხანაგებს პრეზიდიუმში არჩევით.

დიდი ხანია ჩვენში, საქართველოში, არსებობდენ და მოქმედობდენ სხვადასხვა პოლიტიკური პარტიები, მაგრამ დღემდის მათ ეროვნული ყრილობა არ მოუწვევიათ. და თუ ამ პარტიებმა დღეს მოიწვიეს ასეთი ყრილობა, თქვენ კარგათ იცით, რომ არსებობს ამის ღრმა ისტორიული მიზეზები. დღეს მთელი რუსეთი და თითქმის მთელი ევროპაც განიცდის ძველი ცხოვრების, ეკონომიური, ნაციონალური და პოლიტიკური ცხოვრების დანგრევის დიდ მომენტს და ჩვენ ვშიშობთ აბობოქრებულ ცხოვ. ზღვის ტალღამ ჩვენც არ ჩაგვიტანოს რღვევის მორევში. ჩვენ პატარა ერი ვართ და ვცხოვრობთ ისეთ ქვეყანაში, რომლის ახლოს გაჭიმულია დიდი სამხედრო ფრონტი. ამიტომ გვმართებს დიდი სიფრთხილე. გარდა ამისა, რუსეთში გაჩაღდა სამოქალაქო ომი, დღეს არ არსებობს ცენტრალური მთავრობა და რუსეთთან ჩვენი პატარა ქვეყნის კავშირი თითქმის სავსებით გაწყდა. ამნაირათ ერთის მხრით ჩვენს ახლოს დიდი სამხედრო ფრონტის არსებობა, ხოლო მეორეს მხრით რუსეთთან კავშირის გაწყვეტა გვაჯალებს ჩვენს თავს მივხედოთ, ჩვენს თავს უპატრონოთ (ტაშის ცემა). ამ ნიადაგზე შეერთდა ჩვენში არსებული პოლიტიკური პარტიები (ტაშის ცემა) და სთქვეს, ჩვენში არის გადასაჭრელი ორი კითხვა და საჭიროა მათ გარშემო როგორც ნაციონალური, ისე ინტერნაციონალური ძალების გაერთიანებაო. პირველი კითხვა ჩვენი ფიზიკური არსებობის უზრუნველყოფა და მეორე კითხვა—შექმნა იმ საფუძვლის, რომელზედაც აგებული იქნება ჩვენი ხალხის თავისუფალ კულტურულ განვითარების შენობა. დღევანდელ ეროვ. ყრილ. ამ შენობას ერთი ქვა უნდა დაუდვას საფუძვლად; იმედია ამ პირველ ქვას მოჰყვება სხვა ქვაც და აშენდება მძლავრი შენობა. მოგიწოდებთ შეერთდეთ და ერთსულოვნათ მიიღოთ რეზოლიუციები, რომლებსაც საფუძვლათ დაუდებთ ქართველი დემოკრატიის სიძლიერისა და რუსეთის რევოლიუციის მიერ მოპოვებულ თავისუფლების აღიარებას, (ხანგრძლივი ტაში და ოვაციები).

ამის შემდეგ თავმჯდომარე აცხადებს: სიტყვა ეკუთვნის ამიერ-კავკასიის კომისარიატის თავმჯდომარეს ამხ. გეგეჭკორს. მქუხარე ტა-

---

*) ამხ. აკაკი ჩხენკელის სიტყვა შემდეგ ნომერში დაიბეჭდება.

შის ცემითა და დაუსრულებელი ოვაციებით შეხვდა ყრილობა ამხ. ევგენი გეგეჭკორის ტრიბუნაზე ასვლას, რომელმაც ჩვეულებრივის სილამაზითა და მოხდენილობით წარმოსთქვა შემდეგი სიტყვა:

ამიერ კავკასიის კომისარიატის მონდობილობით მაქვს პატივი გულმხურვალედ მივესალმო დღევანდელ ყრილობას და ვუსურვო მას ნაყოფიერი მუშაობა. ამხანაგებო და მოქალაქენო! ყველა თქვენთაგანი გრძნობს და ხედავს, რომ რუსეთის დიდი რევოლიუცია, რომლის ერთ-ერთ უდიდეს ლოზუნგათ არის გამხდარი რუსეთში მობინადრე ყველა ერების სრული თავისუფლება, დღეს საბედისწერო წერტილზე სდგას. პეტროგრადში დაწყებული სამოქალაქო ომი დღითი-დღე ძლიერდება, შავი ტალღები მაღლა და მაღლა იწევს და ხზათ არის სისხლის მორევში ჩაძიროს ყოველივე ის, რისთვისაც რუსეთის დემოკრატია მასთან ერთად ქართველი ერის მშრომელი მასსა ხელი-ხელ ჩაკიდებული თავგანწირვით იბრძოდა. ჩვენს წინაშე მთელი თავის სიმწვავით აღმართულია ყოფნა არ ყოფნის საკითხი. ფრიად საპასუხისმგებლო მომენტი ჩვენ გვავალებს შევხვდეთ ამ ისტორიულ გამოცდას შეიარაღებულნი სათანადო ტაქტით და პოლიტიკური გამჭრიახობით. ვაი იმ ერს და იმ პოლიტიკურ ჯგუფს, რომელიც ახლა ვერ აფასებს ბოლოს საერთო მდგომარეობას და შემცდარ ნაბიჯს გადადგამს, აბობოქრებული ცხოვრების ცეცხლი მას ფერფლათ აქცევს და ხაზულამოთ გაანიავებს. ამიერ კავკასიის დროებითი მთავრობას, რომელსაც მძიმე ვალათ აწევს შეძლებისდაგვარათ დაიცვას ამ მხარეს გამანადგურებელი, შავ ბნელი ტალღები სამოქალაქო ომისა, რომელიც, თუ კი თავზე დაგვატყდა, მიიღებს ერთა შორის ბრძოლის ხასიათს, ღრმათ სწამს, რომ ქართველი ერი და მისი ბურჯი—მშრომელი დემოკრატია, რომელიც პირველ რიგში იდგა და დგას რევოლიუციონურ მოძრაობაში, პირნათლად შეასრულებს თავის მოვალეობას. საკაცობრიო იდეალებისათვის მედგარი ბრძოლა, რუსეთის დემოკრატიასთან შეურყეველი კავშირი, ადგილობრივ ერთა შორის ძმური თანხმობა და სრული სოლიდარობა, აი ის ნათელი, ბრძოლაში გამოკაჟებული და გამომწვარი დროშა, რომლის ქვეშ თავს იყრიდა და ეხლაც ამაყად სდგას ქართველი დემოკრატია, და ამიტომაც კავკასიის დროებით მთავრობას ეჭვიც არ ეპარება იმაში, რომ ქართველი ხალხი, რომელმაც გადალახა ყოველნაირი დაბრკოლება, ათასობით წმინდა ზვარაკათ შესწირა თავისი საუკეთესო შვილები საერთო კეთილდღეობისათვის ბრძოლას—დღესაც არ უღალატებს იმ დიად მიზნებს, ნაცად გზას და ლახვარს ჩასცემს ყველა იმათ, ვინც გაბედავს მის წინსვლას და მის ეროვნულ აღორძინებას გადაღობოს. მაშ გაუმარჯოს რუსეთის დიდ რევოლიუციას, კავკასიის ერთა-შორის სოლიდარობას, ქართველ ერს და მის მებაირახტრეს, რაინდ მებრძოლს ქართველ დემოკრატიას.

შემდეგ ყრილობას მიესალმენ შემდეგი ორგანიზაციების წარმომადგენლები: კავკასიის ჯარის სარდალი პრჟევალსკი, უცხო სახელმწიფოთა წარმომადგენლების სახელით კვალეგინი, უკრაინის რესპუბლიკის წარმომადგენელი, რუსული კულტურის ამიერ კავკასიის საზოგადოების, მუსულმანთა ცენტრალური კომიტეტის, სომეხთა ნაციონალური საბჭოს, პოლონეთის სახალხო საბჭოს, აფხაზების, ებრაელების, დაშნაკცუთიუნის, მუსულმანთა პარტიის „მუსავატი"ს, პოლონელთა პარტიის პ. პ. ს, მუსულმანთა ს.-დ. მ. პარტიის (მენშევიკების), პოლონეთის მწერალთა საზოგადოების, დასავლეთ ამიერ კავკასიის მუსულმანების, ლიტველების. ყველა მისალმებები დიდ ოვაციებს და ხანგრძლივ ტაშისცემას იწვევდა დამსწრეთა შორის. მისალმების შემდეგ წაკითხულ იქნა კათალიკოს კირიონ მე II გუჯარი.

ამის შემდეგ მიღებულ იქნა ყრილობის შემდეგი დღის წესრიგი: 1) თანამედროვე მომენტი და ქართველი ერი; 2) მოხსენება თავად-აზნაურთა ქონების შესახებ, 3) მიმდინარე კითხვები (ერობა, ჯარის ნაციონალიზაცია, სკოლების ნაციონალიზაცია, მართვა-გამგეობისა და ადმინისტრაციის ნაციონალიზაცია, სასურსათო საკითხი, საბჭოს არჩევა). დასასრულ არჩეულ იქნა სამანდატო კომისია, რომელშიაც შედიან შემდეგი პირები: გ. ფალავა, ფ. მგელაძე, შ. მიქელაძე, მ. საყვარელიძე, ივ. ჩერქეზიშვილი, ალ. ყანჩელი, პ. ბარათაშვილი, რ. გაბაშვილი, ლეო შენგელაია, შ. შარაშიძე.

ქალაქების და ერობათა წარმომადგენლების თათბირი

ქალაქების და ერობათა წარმომადგენლების თათბირზე პეტროგრადში უმთავრესად განიხილეს საკითხი დამფუძნებელი კრების და არსებულ პირობების შესახებ. ამ კითხვის შესახებ ვრცელი მოხსენება გააკეთა სრულიად რუსეთის საარჩევნო კომისიის წევრმა ვიშნიაკმა. მომხსენებელ ამბობს, რომ საარჩევნო საქმე სრულიად დაიშალა და საარჩევნო კომისიაში მუშაობაც შესწყდა. შემდეგ, როცა კომისიას საკუთარი ბინა წაართვეს, ის შეიკრიბა შინაგან საქმეთა სამინისტროს ერთ შენობაში და გადასწყვიტა დაუყოვნებლივ განეახლებინა მუშაობა. ჯერ კიდევ ოქტომბრის აჯანყებამდე გამოირკვა, რომ 27 საარჩევნო ოლქიდან 13 ოლქში ორი კვირით მაინც უნდა გადადებულიყო არჩევნები. აჯანყების შემდეგ კი აშკარა შეიქნა, რომ არც კიევის, ბესარაბიის, ორენბურგის და ვიატკის საარჩევნო ოლქებში შეუძლებელია დანიშნულ ვადაზე არჩევნების მოხდენა. ამგვარათ ვადაზე შეიძლება მოხდეს არჩევა 51 ოლქში, სადაც აირჩევენ 542 დეპ. განზრახულ 621 დეპუტატის ნაცვლად. ამათგან შესაძლებელია დამფუძნებელ კრების გახსნის დროს მოვიდეს არჩეულთა ნახევარი, რადგან მიმოსვლის წეს-რიგი დარღვეულია. სამხედრო და ფრონტის საარჩევნო ოლქების შესახებ მომხსენებელმა სთქვა, რომ შესაძლებელია დროზე არჩევნები მოხდეს შავი და ბალტიის ზღვის ფლოტში და კავკასიაში. ნაწილობრივ დასავლეთ ფრონტზე გადაიდო არჩევნები. [illegible] ფრონტზე სასურველათ ჩატარდა არჩევნები დაახლოვებით 44 დეპუტატს მოგვცემენ.

მოხსენების შესახებ ყველა ორატორებმა ის აზრი გამოსთქვეს, რომ ყოველივე საშუალება იხმარონ დამფუძნებელ კრების დროზე მოსაწვევათ.

თათბირმა გამოუშვა მიმართვა ხალხისადმი. ამ მიმართვაში აღნიშნულია, რომ ისეთი დემოკრატიული არჩევნები, როგორიც რუსეთში დამფუძნებელ კრების არჩევნების კანონი არც ერთ სახელმწიფოში არც ყოფილა და არც არის. მაგრამ ქვეყნის და რევოლიუციის საუბედუროთ ძალა უფლების ძალათ ხელში ჩაგდებამ, ცენზურის შემოღებამ, თავისუფლათ შეკრების აკრძალვამ და სხვა ამგვარებმა ხელი შეუშალეს თავისუფალ არჩევნებს და შავი ჩრდილი მიაყენა თვით დამფუძნებელ კრებას, რომელსაც მხოლოდ შეუძლია მისცეს ქვეყანას მშვიდობა და თავისუფლება. ამიტომ თათბირი მიმართავს რუსეთის ყველა მცხოვრებთ მთელი ენერგია და [illegible] მოახმარონ დამფუძნებელ კრების არჩევნების წესიერათ ჩასატარებლათ.

ერობათა და ქალაქების წარმომადგენელთა თათბირი აუცილებლათ საჭიროთ სცნობს იქ, სადაც შესაძლებელია არჩევნები მოხდეს დანიშნულ დროს 14 ნოემბერს, ხოლო სადაც არ შეიძლება მომხდარ ამბების გამო, გადაიდოს მხოლოდ რამდენიმე დღით. ქალაქებს და ერობებს ევალებათ თვალყური ადევნონ თუ სადმე მოხდეს დემოკრატიულ საარჩევნო კანონის გვერდის ახვევა, რომ დამფუძნებელმა კრებამ უკანონოთ სცნოს ასეთი არჩევნები.

10 ნოემბერს დილის კრებაზე მოხსენებას აკეთებს კაკი წერეთელი მიმდინარე მომენტისა და მთავრობის შედგენის შესახებ.

წერეთელი ჩვენ, რომელნიც მხარს ვუჭერდით იმ პოლიტიკას და მთავრობას, რომელიც დღეს ჩამოაგდეს, მისი პასუხისმგებელნი ვართ და სხვებზე უფრო კარგათ გვესმის ჩვენი შეცდომები. ჩვენ ვხელმძღვანელობდით ისტორიის გაკვეთილით და გვინდოდა გადაგვერჩინა ქვეყანა იმ სისხლის დვრიდან, რომელიც სხვა ქვეყნებმა განიცადეს, მაგრამ როგორც სჩანს, თვითეულმა ხალხმა საკუთარი მძიმე მდგომარეობა უნდა განიცადოს და ამ მწარე გამოცდილებების შემდეგ მიაღწიოს განახლების ხანას.

ეხლა რომ ჩვენი მიზანი იყოს მთავრობიდან ბოლშევიკების დამარცხება, ჩვენ შეგვეძლო განზე გავმდგარიყავით გულ-ხელ დაკრეფილნი და გველოდნა. მათი დამარცხება უზრუნველყოფილია მათივე პოლიტიკით. მაგრამ ამ გიჟურ ცდას იგინი რუსეთის ცოცხალ სხეულზე ახდენენ, მათ სასწორზე დასდევს ყველაფერი, მაგრამ თავისი კი არა მთელი რუსეთის. ველოდოთ ასეთ დროს ეს ნიშნავს იმას, რომ ველოდოთ რუსეთის სრულიად გახრწნას. საჭიროა შევქმნათ ჭეშმარიტი დემოკრატიული ძალა მათ წინააღმდეგ, სანამ რუსეთი არ გახრწნილა და ბოლო არ მოსვლია, სანამ ბოლშევიკები თავის დამღუპველი ცდით დაანგრევდენ რუსეთს. აზრი გამწვავებული ეძებს გასასვლელ გზას. აი საიდან გამომდინარეობს ახალ მთავრობის შედგენის საჭიროება. მაგრამ ეხლა ვიკითხოთ არსებობს თუ არა რეალური პირობები ამ ახალ მთავრობის შესადგენათ?

მართალია რუსეთი ვერ შეურიგდება ძალაუფლების ძალათ ხელში ჩაგდებას, მაგრამ ამავე დროს ის ჯერ კიდევ უძლურია შექმნას მჭიდრო ცენტრი მოძალადეების საწინააღმდეგოთ. დემოკრატიის ძალა სუსტდება, ამიტომ ჩვენი ვალია არ გავაღრმავოთ ანარქია მით, რომ შევეცადოთ შევქმნათ მთავრობა რეალურ პირობების გარეშე.

სად არის გარკვეული გზა? როგორ შეიძლება თავი დავაღწიოთ ამ მდგომარეობას? ეს შესაძლებელია მხოლოდ მთელი დემოკრატიის ორგანიზაციით, ერთ მთლიან დემოკრატიულ ფრონტის და ძლიერ გაერთიანებულ ცენტრის შექმნით.

მაგრამ ოცნება ხომ არ იქნება ერთ მთლიან დემოკრატიულ ფრონტის შექმნა? არის ისეთი კითხვები, რომლებიც ყოფენ დემოკრატიას ბოლშევიზმის გარეშე?

ჩემის აზრით ისე ნათლად და აშკარად ჩვენი მიზნები არ ყოფილა ჩვენ წინ წამოყენებული, როგორც ეხლა—განაგრძობს წერეთელი—ყველა პარტიები სოციალიზმის ეხლა განხორციელებას შეუძლებლად სცნობენ. ყველა ერთნაირად უყურებს ლენინის და ტროცკის ავანტიურას.

ყველას სწამს, რომ მხოლოდ დამფუძნებელ კრების არჩევნების წესიერათ მოწყობას შეუძლია მისცეს საშუალება ხალხს შეადგინოს სახალხო მთავრობა. მოძალადეთა ტერორის წინააღმდეგ ბრძოლა ყველასათვის სავალდებულოა. რაც შეეხება საგარეო პოლიტიკას, ჩვენ ყველანი წინააღმდეგი ვართ ისეთ დროის რუსეთის გამოცალკევების, როდესაც უკვე ნიადაგი არის მომზადებული საყოველთაო ზავისთვის, და ამავე დროს შესაძლებელია რუსეთი ცალკე არ დარჩეს და ისეთი მდგომარეობა არ შეიქმნეს, რომ ყველა ზარალი და დანაკარგი რუსეთს დააკისრონ.

ამგვარათ როგორც საგარეო ისე საშინაო პოლიტიკის მიზნები ჩვენთვის აშკარა და ნათელია. საკითხი შეეხება მხოლოდ ახალ მთავრობის მოწყობის მეთოდს: ეს მთავრობა ბოლშევიკებთან შეთანხმებით უნდა შესდგეს თუ მათთან შეუთანხმებლათ?

მე პირველათ იმ აზრისა ვარ, რომ შეუძლებელია იმ ხალხთან შეთანხმება, რომელიც წინააღუდგა არა თუ მთავრობის მექანიზმს, არამედ თვით დემოკრატიის იდეიას. მაგრამ, რასაკვირველია, ამ საკითხის გადაწყვეტა ზნეობრივი საზომით არ შეიძლება. ყველა იგინი, რომელნიც შეთანხმების მომხრენი არიან, მტკიცეთ დარწმუნებული არიან ლენინის და ტროცკის ბოროტ მოქმედებაში.

მაგრამ ავანტიურას თავის შინაგანი ლოღიკა აქვს. რამდენათაც უიმედოა ავანტიურისტების მდგომარეობა, იმდენათ იგინი საბედისწერო ნაბიჯებს სდგამენ, იმდენათ თავდადებული ცდილობენ შეინარჩუნონ ძალაუფლება. მათი ძალა მხოლოდ იმაში გამოიხატება, რომ არაფრის წინ არ დაიხიონ. ამიტომ შეთანხმების საკითხი მხოლოდ მაშინ დადგება რეალურ ნიადაგზე, როცა აშკარა შეიქნება მათი გაკოტრება.

ისიც რეალურია, რომ არსებობს საზოგადოების რეაქციონური ელემენტები, რომელთაც სურთ ისარგებლონ ამ აჯანყებით და პროლეტარიატის სისხლის მორევში ჩაახრჩონ რევოლიუცია და თავისუფლება.

ჩვენ, რასაკვირველია, ეჭვი არ დაგვებადება რომ ჩვენ პროლეტარიატის წინააღმდეგ არ გამოვიყენებთ ჩვენს ძალას, რომ მან თავის სისხლით ზღოს ბოლშევიკების მიერ ჩადენილი ბოროტებება, ამ მხრით ორი აზრი არ არსებობს.

მაშასადამე თუ არსებითად ყველაფერში თანახმა ვართ, თუ ავანტიურიზმის წინააღმდეგ ბრძოლის პლატფორმა ერთი გვაქვს, დიდი შეცდომა იქნებოდა შეთანხმების საკითხი უთანხმოების საბუთად ვიხმაროთ.

პირადათ მე, როგორც შეთანხმების წინააღმდეგი, სავსებით ვიცავ დემოკრატიის გაერთიანების პრინციპს, მხოლოდ ერთ მთლიან დემოკრატიის ფრონტის შექმნით შეიძლება გამარჯვების მოპოვება.

არ უნდა დავმალოთ, რომ სამოქალაქო ომის ორივე ბანაკი ავანტიურისტები და კონტრ-რევოლიუციონერები ძლიერი არიან. იმის იმედი, რომ შეიძლება ძალთა შეკრება ავანტიურის ბოლოს მოღებით, რომ ამავე დროს საშუალება არ მივსცეთ გაძლიერდეს მეორე ავანტიურა მარჯვნით, ნაკლებია. მაგრამ სხვა გზა არ არის. და თუ ჩვენ მოგველის დაღუპვა, დეე ამ დროშის ქვეშ დავიღუპოთ ყველანი. („ნ. ქ.").

დიომიდე მდინარაძე

18 ნოემბერს რკინის გზის საავადმყოფოში ტიფით გარდაიცვალა ადგილობრივ კომიტეტის თავჯდომარე, მუშათა კლასის ინტერესების დამცველი დიომიდე მდინარაძე. დიომიდე არ იყო ზოგიერთივით მყვირალა მუშაკი; ის იყო სპეტაკი, დაუღალავი და მასთან სწორ-უპოვარი მოღვაწე. ის 1903 წლიდან ჩაება საერთო მუშათა მოძრაობაში და მას აქეთ დაუღალავათ მუშაობდა საერთო საქმეში. ის ღრმათ იყო დარწმუნებული, რომ მომავალი მუშათა კლასის არის და გამარჯვება ეკუთვნის მას, ვინც საქმით არის ყველაფერი და უფლებით არაფერი. დღეს ამ არევ-დარევის ხანაში, როდესაც ყოფნა არ ყოფნის საკითხი სდგას ჩვენს წინ, სწორეთ ამ დროს ხელიდან გვეცლება საუკეთესო, სპეტაკი და თავდადებული მებრძოლი. თფილისის საქონლის სადგურის მუშები, ადგილობრივი კომიტეტი, სადგურის პროფ. კავშირი ღრმა მწუხარებას განიცდით და ჩვენს ცხარე ცრემლს ვურთავთ მის მშობლების და ამხანაგების მწუხარებას.

ამხ. დიომიდე! შენი დაკარგვა ჩვენთვის დიდი დანაკლისია. ვფიქრობთ და ვერ შევრიგებივართ ამ აუტანელ დანაკლისს. მუშათა კლასი შენს ღვაწლს და შრომას არ დაივიწყებს და სამარადისოთ აღბეჭდილი იქნება მის გულში,

„ცუდათ ხომ მაინც არ ჩაივლის ეს განწირული სულის კვეთებაო",—სთქვა პოეტმა. შენ მოკვდი, მაგრამ შენს ღვაწლს არ დაივიწყებს მუშათა კლასი და შენი ხსოვნა სამარადისოთ იქნება მუშების გულში აღბეჭდილი.

საშა ჩიგოგიძე.

ყვირილის საქალ. არჩევნები

(ყვირილის პარტ. ამხანაგებს და თანამოაზრეთ).

ამხანაგებო! ქ. ყვირილის დამფუძნებელი კრების არჩევნები დამთავრდა ჩვენი პარტიის სრული გამარჯვებით. ჩვენმა სიამ № 1 მიიღო 850 ხმა—თითქმის ორჯერ მეტი, ვინემ ყველა დანარჩენმა პარტიებმა. მიუხედავათ ასეთი ბრწყინვალე გამარჯვებისა, საგრძნობი ნაწილი ჩვენი ამხანაგ-თანამოაზრეთა დარჩა დამფუძნებელი კრების არჩევნებს გარეთ თავის დროზე დამატებითი სიაში შეუტანლობის გამო, აღნიშნავს რა სიმწუხარით ამ მოვლენას რ. ს. დ. მ. პ. ყვირილა-შორაპნის რაიონული კომიტეტი მოუწოდებს ქ. ყვირილაში მცხოვრებ პარტიულ ამხანაგებს და თანამოაზრეებს—მიიღონ მხურვალე მონაწილეობა მომავალ საქალაქო არჩევნებში, რომელიც სხვადასხვა მიზეზების გამო გადადებულ იქნა დეკემბ. ეხლა ყველაფერი მზათ არის. ქალაქის საარჩევნო სიები გამოქვეყნებულია. ხუთი დღის განმავლობაში—20—26 ნოემბრამდე ვინც გამორჩენილი ხართ ამ საქალაქო სიებში, თქვენ თვითონ მიდით ქვემოთ ჩამოთვლილ ადგილზე და ჩაეწერეთ ამ ხუთი დღის განმავლობაში დამატებით სიაში. სიები ინახება სამ ადგილს: 1) მუშათა, ჯარისკაცთა და გლ. დეპ. საბჭოში; 2) სამაზრო კომისარიატში და 3) ქალაქის კომიტეტში. ეცადეთ, ამხანაგებო, არ დარჩეთ სიის გარეთ. გახსოვდეთ, რომ ამ არჩევნებში ყველა პარტიები ირაზმებიან; ჩვენი მოწინააღმდეგენი, დამარცხებულნი დამფუძნებელ კრების არჩევნებში, ყოველნაირ ხრიკებს მიმართავენ ჩვენს წინააღმდეგ, მაგრამ კარგათ დაიმახსოვრეთ № 1. ქალაქის არჩევნებშიც ამ ნომრით გამოდის ჩვენი პარტია.

რ. ს. დ. მ. პ. ყვირილა-შორაპნის რაიონ. კომიტეტი.

ბათუმის აჯ-კარში

12 ნოემბერს დილის 9 საათიდან დაიწყო დამფუძნებელი კრების არჩევნები. ჯერ კიდევ რვა საათიც არ იქნებოდა, რომ თვით მართველობის დარბაზთან, სადაც ხდებოდა მოქალაქეთა მიერ ხმის მიცემა, აუარებელ ხალხს მოეყარა თავი. ყველა რაიონებიდან ჯგუფ ჯგუფათ მწყობრათ რევოლიუციონური სიმღერებით მოდიოდენ ყველა ჩვენი ამხანაგები და თანამგრძნობნი. თვითმართველობის დარბაზთან რიგში ჩამწკრივებულნი ამომრჩევლებით დიდი „კუდი" გაკეთდა. უმთავრესათ ყველას პირველი ნომერი ეჭირათ ხელში. სხვა პარტიებს ეს ვერ მოუწონებიათ და მზათ არიან პირველი ნომერი ბიულეტენი დაუხიონ და თავიანთი მიაწოდონ. ერთი მოხუცი დედაკაცი, რომელსაც პირველი ნომერი ბიულეტენი წაართვა ერთმა ფედერალისტმა მოწოდებულ და სურდა მეორე მისცა, ძალზე ჯავრობს და ყვირის „მე მუშათა პარტიის ვარ". „ამხანაგებო, არ უღალატოთ ჟორდანიას, წერეთელს და ჩხეიძის პარტიას, მიეცით ყველამ პირველ ნომერს ხმა", გაიძახიან აქ, მოწაფეები და აწოდებენ ამომრჩევლებს პირველ ნომერ ბიულეტენს. საერთო ხმაურობაში ისმის ხმები „მე ჟორდანიის პარტიის ვარ" „მე ჩხეიძის პარტიის ვარ" და სხვა. აგერ საგანგებოთ მორთული ავტომობილი მოდის. შიგ სხედან არტისტები; „მიეცით ხმა მხოლოდ პირველ ნომერს" გაიძახიან და მოწოდებებს ფანტავენ ხალხში საღამოზე უფრო მეტი გამოცოცხლება დაეტყო არჩევნებს. მოდიან წითელი დროშებით და სიმღერით მორთული ამხანაგები. ყველას სათითაოთ აქვს ხელში გამზადებული პირველი ნომერი ბიულეტენი. შორის თვალით უცქერიან სხვა პარტიების წარმომადგენლები, როცა ხედავენ რიგში ჩამწკრივებულ ხალხს ყველას პირველი ნომერი ბიულეტენით ხელში. ქუჩებშიაც გაცხარებული კამათია პარტიებთა შორის. მიეწყო მფრინავი მიტინგები. მეტათ ცხარობენ ბოლშევიკები, მენშევიკების ბელადების ლანძღვა გინებით გულს იჯერებენ.

საღამოს ცხრა საათზე აღმოჩნდა, რომ ხმა მიუცია 5,500 ამომრჩეველს. მეორე დღეს ნაკლები სიხალისე ეტყობოდა ამომრჩევლებს. ამ დღეს ხმა მისცა 3,000-მდე ამომრჩეველმა. 14 ნოემბერს კი დილის ორ საათამდე გაგრძელდა ხმის მიცემა. ამ დღეს ხმა მისცა 1000-მდე ამომრჩეველმა. ჯერ კიდევ ორი საათი არ იყო, რომ ხმის მისაცემათ მოვიდენ ოლქის მილიციონერები რიცხვით 50 მდე, ისინი უმთავრესათ ქართველი მუსულმანები იყვნენ, და როგორც „ჩვენ ქვეყნის პარტიის", ყველამ პირველ ნომერს მისცა ხმა.

14 ნოემბერს ოთხ საათიდან საარჩევნო კომისია შეუდგა ხმების დათვლას. როგორც იქიდან უკვე მკითხველებმა ჩვენმა პარტიამ 9051 საერთო მიცემულ ხმიდან მიიღო 4,732 ე. ი. 52%. მეორე ადგილი დაიკავეს კადეტებმა მესამე—ესერებმა, მეოთხე — დაშნაკებმა. დანარჩენ პარტიებმა ხმების სულ უმნიშვნელო რაოდენობა მიიღეს. აღსანიშნავია, რომ საარჩევნო ხმის უფლებით ნახევარსაც არ უსარგებლია. სიაში იყო შეტანილი 18 500-მდე ამომრჩეველი. მონაწილეობა კი მიიღო 9051 ამომრჩეველმა. უნდა აღვნიშნოთ, სხვათა შორის, რომ დამფუძნებელი კრების არჩევნებმა ბათუმში დიდი სილა გააწნა ესერების და ფედერალისტების პარტიებს. როგორც იცით, ესერები ქალაქის არჩევნებში დიდათ ყოყოჩობდენ მით, რომ ძალადობით და სხვაგვარი ხრიკებით მათ 26 ხმოსანი გაიყვანეს ქალაქის საბჭოში, მაგრამ დღევანდელმა არჩევნებმა ნათლათ დაგვანახვა, რომ მათ პარტიას ნიადაგი გამოეცალა არა თუ მოქალაქეებში, არამედ—ჯარშიაც. მოქალაქეებში მათ მიიღეს 976 ხმა, ე. ი. თითქმის სამჯერ ნაკლები იმაზე, რაც ქალაქის არჩევნებში. 221 სათადარიგო პოლკში მათ მიიღეს 1290 ხმა, მენშევიკებმა 1119, ბოლშევიკებმა 1389. უმრავლესობა ჯარისკაცთა დღეს ბოლშევიკებთან არის და წინეთ ხომ ესერებთან იყო. ასე თანდათან ინგრევა ერთ დროს „ძლიერი კართაგენი". რაც შეეხება ფედერალისტებს, მათ მიღებულ ხმებზე ხომ ლაპარაკიც არ ღირს. ეს ვაჟბატონები არავითარ ხრიკებს არ ერიდებოდენ. ს.-დ. სალანძღავათ გაზ. „ტალღაც"-ი გამოუშვეს. საარჩევნო ხრიკებსაც მიმართეს, მაგრამ არ გასჭრა მათმა ხრიკებმა [illegible] მოწაფე დაიჭირეს [illegible] ხმის მიცემისას, რომ [illegible] ერთ ფედერალისტს, რომელიც საარჩევნო მოწმობებს იძლეოდა, მრავალი ამოწერილი მოწმობები დაუჭირეს და საარჩევნო კომისიის წევრების თანდასწრებით ოქმი შეუდგინეს. ყველა ეს დასჭირდა ფედერალისტებს იმიტომ, რომ როგორმე 272 ხმა მიეღოთ.

ვ. დვაბზუელი.

ხაშურელ ფედერალისტებს

ეს ერთი ხანია „სახალხო საქმის" ფურცლებზე ადგილი ეძლევა ყოვლად ურცხვ წერილებს ხაშურიდან ჩემს და ადგილობრივ ამხანაგების წინააღმდეგ. ნაძირალებმა ისარგებლეს იმ გარემოებით, რომ ჩვენ საარჩევნო კამპანიაში ვიყავით ჩაბმულნი, იშოვეს დრო და „სახალხო საქმის" ფურცლებზე ცილისწამებით გაჟღენთილ შავრაზმულ მუშაობას ეწევიან. ცნობილი ვასო ძინძიბაძე—ეს ყოვლად ბნელი პიროვნება წარსულში და აწმყოში, განაგრძობს თავის სამარცხვინო გამოსვლებს. მე ჩემ თანამოაზრეებთან ერთად დამცირებად მიმაჩნია მის პიროვნებაზე დაწვრილებით შეჩერება. ვაცხადებ მხოლოდ შემდეგს: 1) ყოველივე მის მიერ ნახსენებ გაზეთის მე—91 ნომერში მოთავსებული საზიზღარი ცრუობა და ცილისწამებაა; 2) ს. ოსიაურის გლეხებში ის ეწეოდა პროვოკატორობას, რისთვისაც გლეხებმა ის გამოაძევეს იქიდან; 3) მთელ ოსიაურის საზოგადოებაში, რომლის გლეხებს ეს უტიფარი ვაჟბატონი „ბუნებრივ ფედერალისტებად" ნათლავს, არც ერთ იქ დადგმულ ოთხ ყუთში არ აღმოჩნდა ფედერალისტების ბიულეტენი; 4) თუ კი ვინმე გლეხთაგანმა მას მუშტით დაემუქრა, ამის მიზეზი ის იყო, რომ ეს აღვირწახსნილი ვაჟბატონი სოც.-დემ. მეტყუეებს ეძახოდა, ხალხს ეხლავე მიწების დაყოფისკენ მოუწოდებდა და ეუბნებოდა: დამფუძნებელი კრება სამს წელიწადში არ შედგებაო; 5) გადაჭრით ვაცხადებ, რომ ამ ძინძიბაძეს აქვს აქ [illegible] რეპუტაცია და, როგორც ასეთის, მისთვის „სახალხო საქმის" მიერ ქუჩური ლანძღვა-გინებისთვის ადგილის დათმობა სამარცხვინოთ უნდა ჩაითვალოს.

მაგრამ არის კიდევ მეორე ვაჟბატონი ხაშურში, რომელსაც ხელმძღვანელობენ და არჩევენ ძინძიბაძე, გაგუა და კომპ. ჩემს,—მისი მასწავლებლის და აღმზრდელის წინააღმდეგ. ეს არის გიმნაზიის მოწაფე დავით ნესტორის ძე ჯაფარიძე, რომელიც ჩირქს სცხებს მოწაფის სახელწოდებას და ხაშურის გიმნაზიის მასწავლებელთა საუკეთესო ნაწილს. მეხუთე წელია ვმუშაობ მე აქ როგორც პედაგოგი და შემიძლია თამამად ვიამაყო ჩემს [illegible]

[illegible]

ნ. ამბანაშვილი.

მოსკოვში

26 ოქტომბერს დილით მოსკოვში ხმა გავრცელდა [illegible] 75 ათასი კაცი მოკლეს, [illegible]

[illegible]

— 75 ათასი—სიცრუე!

[illegible]

27 ოქტომბრის [illegible]

რევოლუციონერი ცხოვრობს ორ შვილებს. ეს აცნობეს საბჭოში და იქიდან გამოგზავნილმა ჯარისკაცებმა დაატუსაღეს რამდენიმე „მსროლელი“.

მთელი ღამის განმავლობაში ისროდნენ მილიციონერები შიშის გამო, ხოლო ხულიგანები სიამოვნებისთვის. დილით მთელ მოსკოვში თოფების ჭახა-ჭუხი გაისმოდა, მას მიემატა ტყვიის მფრქვეველთა რახ-რახი და ასე ეგონებოდა კაცს რაღაც ღამპალ ქსოვილს ფხრეწენო.

ჯარ-ჯარობით ეს ვერ არღვევდა ჩვეულებრივ ცხოვრებას, გიმნაზიელები სასწავლებლებისკენ მიეშურებოდნენ, აქა-იქ თავისუფალი ხალხი დასეირნობდა, მაღაზიების ახლო გრძელ-გრძელი „კუდები“ იდგა, ქუჩებში ჯგუფ-ჯგუფათ იდგა უსაქმო ხალხი, რომ გაეგოთ სად ისროდნენ.

ჭეშმარიტად ქვეყანა უსაქმურთა სასიამოვნოთ არის გაჩენილი! პირველ მბეჭდავის ძეგლთან სდგას ხუთასამდე კაცი, გულ-დამშვიდებით ყურს უგდებს თოფების ტკაცა-ტკუცს და ამბობს:

— „მეტროპოლს“ ურტყამენ.

— სტრასტნაზე ისვრიან.

ვიღაც უცხო ხალხი, რომელთათვისაც რაიმე ამბავი, რაც უნდა ტრაგიკული იყოს ან უბრალო სანახაობაა.

აი ერთ მათგანს ყურში ტყვია მოხვდა, მას გარს შემოეხვია ასორმოცდაათამდე კაცი, ახვევენ მაჯაზე და ეკითხებიან—გტკივა?

— ჰო, მაშ ძალიან მტკივა!

რასაკვირველია ეს დამფრთხალი ხალხიც იჩენს თავის მოქმედებას, მზადაა იქ, სადაც ნაკლები საფრთხეა მიდის და წინადადებას არ მიდის—ასე არიან ალხროსნი, მაგრამ ფუფუნებას ისტორია ამ გზით ვითარდებოდა.

ცუდად ბრძოლის წინ გაჩნდა შიშისაგან შეშლილი ვიღაც ჯარისკაცი, წამოიჭრა და გასროლა უპირებდა ოფიცერს. ბრბომ ვერ მოასწრო ხელი შეეშალა მისთვის, რომ არ გაესროლა, მისცვივდნენ და დაჭკუჯეს. დარწმუნებული ვარ ერთის მაგიერ რომ სამი ჯარის კაცი ყოფილიყო, ბრბო ხელით გაფანტდებოდა.

⁂

სროლა გახშირდა. ქუჩაში პატრულები გამოჩნდნენ და მწუხარებით უყურებენ ხალხს:

— თუ ხათრი გაქვთ, ამხანაგო-მოქალაქენო, დაიმალენით! ხედავთ რა ამბავია? სახიფათოა, შეიძლება საიდანმე ტყვია გამოვარდეს და ვინმე მოჰკლას. ტყვია—სულელია. თუ ხათრი გაქვთ...

მაყურებელნი ნელ-ნელა იშლებიან, ზოგიერთები ეკითხებიან პატრულს:

— თქვენ ვისი ხართ? ლენინის, თუ ხალხის?

— ჩვენ არავისი! წესრიგი საჭიროა, დაიმალენით...

შემდეგ „არავისი“ ჯარისკაცები ვიღაცას ესვრიან ქუჩაში, ესვრიან უხასიათოთ, თითქოს თავიანთ ნების წინააღმდეგ ასრულებენ რევოლუციონერ მოვალეობას,—რაც შეიძლება ნაკლებ მიყვანებულები გაიხინონ.

თანდათან ირკვევა, რომ იუნკერებს განზრახული სტრატეგიული გეგმა არა აქვს და ან უკ გუნდები, როგორც „მოხეტიალეთ“, ისე იქცევიან. ჯარის ერთი ნაწილი მიიწევს კრემლისკენ, სადაც იუნკრები გამაგრდნენ, მეორე—ცენტრიდან, მიასნიცკის ქუჩით, ტელეფონის სადგურის და ფოსტისკენ, პოკროვის ქუჩით, ალექსანდროვის სასწავლებლისკენ.

მიასნიცკის ქუჩაზე, ქოშილან ჯარისკაცები ესვრიან რომელიღაც შესახვევისკენ, იქითკენ ვიღაც კაცს უნდა გავლა და არ უშვებენ.

— მოგკლავენ ამხანაგო! იქ ვიღაცები სხედან...

— კი მაგრამ მთელი ეს უბანი ხომ თქვენ ხელშია არის?

— მერე თქვენ საიდან იცით?

დიდი ხვეწნის შემდეგ მას უშვებენ და სთხოვენ:

— თქვენ, ამხანაგო, თვალებით გვაჩვენეთ რამდენია იქ?

უცნობი ყურს აწვებს ამ თხოვნას შესრულებაზე და მიდის შესახვევისაკენ. და რას ხედავს: ერთ ეზოში რკინის კარების იქით ცხრა ჯარისკაცი ყუთებზე და ბოჭკებზე მოკალათებულა, მეჯიდ გაჩნუ ზის და სასმელით ფეხს ითბობს.

— თქვენ ვის ებრძვით?

— აი იქ ქოშიში ვიღაცები არიან.

— კი მაგრამ იგინი ნამდვილათ თქვენები არიან.

— როგორ თუ ჩვენები? აი კაცი გადმოგვჭედ-ჭეს...

უცნობი ურჩევს მხედრებს მოლაპარაკება გამართონ მტერთან, იგი თვითონ კისრულობს პარლამენტიორობას და ბრუნდება მიასნიცკის ქუჩაზე. აღმოჩნდა, რომ ერთი მეორეს ესვრიან ერთი და იმავე პოლკის ჯარისკაცები. მათ შორის ასეთი ტრაგიკული დიალოგი იწყება:

— თქვენ ქოშიში დაბრძანდებით?

— თქვენა?

— ჩვენ იუნკრებთ გვეგონეთ.

— ჩვენც.

ბრძოლა სწყდება როგორც წინარე სასიხარულოთ, უცნობს პაპიროსს აწვდიან და მეგობრულ დარიგებას აძლევენ:

— გესმით, ამხანაგო, იქითკენ რომ არ წასულიყავით, ხომ ხედავთ როგორ ხშირ სტყვისართ მოგვდიოდა ტყვიები.

ეჭვი არაა ასეთი შეცდომები მრავალი იყო და არა ერთი ამაოდ ჯარისკაცი გახდა ამ შეცდომის მსხვერპლი. მოსკოვის არეულ-დარეულ მოსახლეობის მოსახლეებში ხალხი უაზროთ ხოცავდა ერთი მეორეს. მეტადრე ხშირათ ერთი მეორეს თავისიანები ესროდნენ ღამით, როცა მთელი ქალაქი დაბნელებული იყო.

კრემლის გარშემო საბჭოს ჯარი, ხოლო ტრიუმფალური მოედანზე იუნკერთა მეორე ჯგუფი ალყავებს ვინტოვკებით დატვირთულ სამართლო ავტომობილებს და წითელი გვარდიის რაზმს. ამბობენ, რომ ინსურექტების შტაბში მხოლოდ დამკვრელი რაზმის 110 ჯარისკაცი.

— სად არიან აქ იუნკრები ჩასაფრებულნი? მოგვეცათ ვინტოვკები ჩვენ მათ გავრეკავთ.

მათ მისცეს ვინტოვკები, იგინი კი იუნკრებს შეუერთდნენ და ამ შეცდომამ გააძლიერა ხოცვა-ჟლეტა.

გასაოცარი იყო ჯარისკაცის გულადი მოპყრობა ქუჩაში გამოსულ „მაყურებლებისადმი“.

პირდაპირ გასაოცარი იყო, როგორ ფაქიზათ ეპყრობოდნენ, მშვიდათ მშფოთვარე ტრამვაის ლიანდაგზე მოსულიყო პროლეტარი რომელიმე კომენდანტი მიმართავდა „მეფურეს“:

— მოქალაქევ! ხედავთ? აქ ისვრიან. ღმერთმა ნუ ქნას, ტყვიას მოგახვედრებენ, ჩვენ არ შეგვეძლება შენთვის პასუხი ვაგოთ.

— სამი დღეა ქუჩაში არ გამოვსულვარ.

— მერე რა? ეხლა სეირნობის დრო არ არის.

ეულად მანქანა ამ ხალხს ეკაინა!

— ვის ებრძვით თქვენ, როცა ასე მხურვალეობით იცავთ ჩვენ „კონსტიტუციონ ნატურია“ სიცოცხლეს?

ჰკითხავ—გიპასუხებენ.

— იუნკრებს. იგინი ხალხის წინააღმდეგნი არიან.

და ეს კეთილი გულის პატრონი, ტანჯული ხალხი მხეცურათ ჰკლავდნენ იუნკრებს, თავიანთ კონდახებით უმტვრევდნენ თავებს, ტვინს ანთხევინებდნენ და იგივე ჯარის კაცებმა, რა დაინახეს, რომ ერთ შესახვევში ბრბო მაღაზიას ანგრევდა, თოფები დაუშინეს და ოცი ბოგანო ზნეზე მოჰკლეს და შემდეგ მაღაზიის პატრონს დაუბრუნეს გატაცებული მაღაზიის კარები და სარკმლები.

საწყალია ეს ხალხი. მას შეუძლია ეზიარულოთ სიცოცხლე გასწიროს და უსარგებლო მსხვერპლება და მწვავე ძალადობას ნათლად. გაიგე ეს ხალხი და კვლავ გულწრფელობა და გულწრფელ, რომ არ ძალ გაქვს, გაიგოთ შენი ხალხის მწარე სულის კვეთება.

⁂

ისმის ზარბაზნის გრიალი. ეს ვარიობიდან გაფრენილან კრემლს ესვრიან. თითქოს საშინელი ტანჯვაში ვადაცემული კაცი ამბობს:

— შრაპნელით ესვრიან, სულელები. კიდევ მაღლა დგანან, თორემ სულ დაანგრევდნენ კრემლს.

ის დაისხამს უმშობლო მაყურებლით, რომლის ყურია ხუცეს ხალხი შრაპნელით და როდის არის საჭირო დიდი ყუმბარები.

— ეს სულელები კი შრაპნელით ისვრიან! ეს პირდაპირ სასულელოა.

ვიღაც გულუბრყვილოთ ამბობს.

— შეიძლება განგებ ისვრიან ასე, რომ შეაშინონ ხალხი და არა დახოცონ?

— ეს რისთვის?

— ჰუმანიური მოსაზრებით.

— ამა რა ჰუმანიზმი არის ჩვენში—წუნარით ეკამათება წვლილობის ტექნიკის მცოდნე.

საშინლათ ჰგავიან მიგებს პოლკები, რომლებიც სულ სახურავებზე ზემოდან დაუშინეს. რახარუხით ტყვიის მფრქვეველები, სადღაც ახლოს ჯავშნიანი ავტომობილი მიდის და ისვრის, განუწყვეტლივ ისმის თოფების და რევოლვერების ჭახა ჭუხი. შთაბეჭდილება ისეთია თითქოს ხალხი ერთი მეორეს სცემს, ერთად შეჯგუფება და ხელჩართული ბრძოლა. მაგრამ ავერ მიქრის შეიარაღებული, ხალხით გაჭედილი სამართლო ავტომობილი და ხედავ, რომ იგინი ჰაერში ისვრიან, ალბათ იმიტომ, რომ „გაამძლიერონ თავიანთი რევოლუციონერი სული“, რომ არ იციან მაზე თუ რას სჩადიან.

⁂

შრაპნელის ტყვიები ცვრებივით ცვივა რკინის სახურავებს და ძირს ქვა-ფენილზე ჩამოდის რახრახით. მაყურებელნი აგროვებენ „სამახსოვროთ“. კრემლის ახლოს ზოგიერთ სახლის კედლები ყუმბარებით შეანგრიეს. იქ უთვალავ დაიღუპა რამდენიმე ათეული სრულიად უდანაშაულო ადამიანი. ყუმბარები იქ ვიცოდე უბრალოდ ცვიოდა, ასე, როგორც ერთმანეთს ეხვეოდა ეს ხშირი დიდის საშინელი სისხლის ღვრა და მოსკოვის განადგურება.

მოსკოვის ხოცვა-ჟლეტა მოეგებოდნებოდით ყმათა საშინელი ხოცვა-ჟლეტას. ერთი მხრით ყმაწვილი წითელ-რაზმლები, რომელთაც ხელში თოფი დაეჭირათ კი არ იციან და ჯარისკაცები, რომელთაც არც კი გაეგებოდათ რისთვის ან ვისთვის მიდიოდნენ სასიკვდილოთ და რათ ითის ხოცავენ სხვებს! მეორე მხრით—იუნკერთა მცირე ნაწილი, რომელნიც, როგორც მათ ზოგიერთები, გმირულად ასრულებდნენ თავიანთ მოვალეობას.

რასაკვირველია საშინელი სიცრუეა თითქოს ყველა იუნკრები „ბურჟუების და მემამულეების“ შვილები იყვნენ და სიჭარბე იყოს მათი ამოცანა. ეს ავანტიურისტების და ცოდვილ დემაგოგების სიცრუეა და თუ კაცს უყურე ქვეყანას და მოქმედებას ის სწავლობს, რომ ის არა თუ იმ კლასს ეკუთვნის, მაშინ სიმბირსკელ აზნაური ულიანოვ-ლენინი რუსეთის აგრარიების რიგში უნდა მდგარიყო პურიშკევიჩის გვერდით და ბრონშტეინ-ტროცკის კომერციანტობისთვის უნდა მიეკიდა ხელი.

საშინელ მდგომარეობაშია ახალგაზრდობა ამ წყეულ ქვეყანაში. მრავალი წლებიდან დაწყებული ჩვენ ვცდილობდით მათი გავლენით შეგვეცვალა თვითმპყრობელობის კედელი. 50 წელიწადი იყლიტებოდა რუსეთის ახალგაზრდობა ციხეებში, ციმბირში და კატორღაში—და აი, დღეს თვალწინ გვდგას ამ „პოლიტიკის“ — ტრაგიკული შედეგი: რუსეთში აღარ არის ნიჭიერი ხალხი, ისეთი ხალხიც კი არ არის, რომ შრომის უნარი ჰქონდეს. თვითმპყრობელობამ დაასუსტა ქვეყნის სულიერი ძალა, ომმა ფიზიკურათ დაასუსტა ასი ათასი ახალგაზრდობა, რევოლუცია, რომელიც ისე ვითარდება, რომ ენტუზიაზმს არ იწვევს, ალბათ ვერ ზრდის სულით ძლიერ ხალხს და განაგრძობს ახალგაზრდათა ხოცვის პროცესს.

მე ვიცი—ბევრ დემაგოგებისთვის სულ ერთია ხალხის მომავალი, იგინი უყურებენ მას როგორც სოციალურ ცდის მასალას; მე ვიცი, რომ იგინი ვერ მისწვდებიან იმ აზრს და გრძნობას, რომელიც ღრღნის ყოველ პატიოსან დემოკრატის გულს—მე მათთვის ვლაპარაკობ.

მაგრამ განა მთელი დემოკრატია გაგიჟდა? ნუ თუ არ არის ხალხი, რომელიც, იგრძნობს რა ამ საშინელებას, გამოარჩიოს თავის წრიდან გადაგვარებული ხულიგნები?

მ. გორკი. („ნოვ. ჟიზნი“).

მოწაფეთა შორის

თბილისი. კლასიკურ ტექნიკური სასწავლებელი არ არის კარგ ნიადაგზე დამყარებული. მასწავლებლების ნაკლებობა, უწესრიგო სწავლა და სხვა, და, ასეთ პირობებშია ჩვენი სასწავლებელი. არჩეულია მოწაფეთა ადმინისტრაციული კომიტეტი, რომელიც უნდა ცდილობდეს ასე თუ ისე საქმის მოგვარებას, მაგრამ ვერას გახდა.

ამის წინათ მოწაფეებმა წარუდგინეს პედაგოგიურ საბჭოს მოთხოვნილებანი. ჩვენ არ ვითვალისწინებდით და მოვმართეთ გაფიცვას, გაფიცვა გაგრძელდა ხანი კვირა, მაგრამ ფაქტიურათ საბჭომ დააკმაყოფილა ჩვენი მოთხოვნილებანი, რასაკვირველია, ტრაგიკულათ და ჩვენც შევწყვიტეთ გაფიცვა. მოველოდით, რომ ყოველივე ნორმალური სწავლა და წყნარი მასწავლებლები.

ჩვენთვის, როგორც მომავალი ტექნიკებისათვის, ელექტრო-ტექნიკოსებისათვის, აუცილებელი საჭიროა პრაქტიკა. ამას ჩვენ მოკლებულნი ვართ. მოწაფეთა შემადგენლობა ჩვენ პროცენტი სოფლებიდან არიან. ხან შეუძლიათ ფულს ამზადებენ ხარჯს გვგონებენ, შვილო კი ცდემაიდეს, არ სწავლობენ. სწავლის დღეებში, ეკითხებიან: „რატომ მასწავლებლები არ არიან“?

„არ მოსულანო“, გულგრილად გვპასუხობენ, აი დაპირება! ენკენისთვიდან მოყოლებული დაპირებით გვასაზრდოებენ. იგ. გამგებლად და არ. ზარაძე პედაგოგიური საბჭოს სახელით გვეპირებიან: „ის მოწაფეები, ვისაც სწავლის ფული არ შემოუტანია, გამორიცხული იქნებიან სასწავლებლიდანო“. რატომ პედაგოგიური საბჭო არ ფიქრობს,—რაში იხდიან ფულს?

ნუ თუ, ამხანაგებო, ამაზე უფრო მეტის წავა ჩვენი გულ-გრილობა?

მოვითხოვთ: ან ნორმალური სწავლა, ან სწავლის შეწყვეტა. გვყოფს დაპირება!

შ. გურულ მეჯვრელი.

სოც.-დემ. პარტიაში

თბილისი. 15 ნოემბერს მოხდა მორიგი კრება მ 6 რაიონის კოლექტივის წევრებისა. კრებას დაესწრო 15 წევრი. დღის წესრიგში იყო შემდეგი კითხვები: მოხსენებები არჩევნების შესახებ, შეიარაღება, კასის ანგარიში, კოლექტივის წევრების მუშაობა. კრებას ხსნის კოლექტივის თავმჯდომარე ა. არეშვილი. მოხსენებას აკეთებს არჩევნების შესახებ მე-4 სამილიციო უბნის მცირე კოლექტივის თავმჯდომარე ვ. ალეხსაძე. ის შეეხო უმთავრესად ტექნიკურ მხარეს არჩევნებისა და განუმარტა კრებას მდგომარეობა არჩევნებისა ქალაქის ხელმძღვანელ უბანში. ძლიერ გაკვირვებული ამხ. მომხსენებელი, რომ მე-4 სამილიციო უბანში და აგრეთვე მე-5 შიაც, სადაც ჩვენ დიდი ხალხის იყო მოთავსებული საარჩევნო ყუთები, ყველგან დაშინებულები იყვნენ თავმჯდომარენი, რაც შეეხება ჩვენ წარმომადგენლებს—ძალიან ცოტა შეეძლოთ წევრებთან და მათთან ისიც არა საიმედო მხრივ. ამის განსამარტებლად მომხსენებელს მოჰყავს მრავალი ფაქტები. გაუგებრობა გამოიწვია შემდეგმა: ბევრი ჩაწერილ მოქალაქეს არ მიუღია სარჩევნო ბარათი. მოქალაქენი, ლეგიტიმაციულნი თავის უფლების ასაღებად, მიმართავდნენ მით, მაგრამ იმის მაგივრად, რომ გაეწყობინათ ბარათები რამე, ჰფარავდნენ გზას და მკაცრი მიმართვით ისტუმრებდნენ. მოხსენება შეეხება ამხ. მ. ტყეშელაშვილმა და ლ. მამულაშვილმა. შემდეგ მოხსენებას აკეთებს მე 5 სამილ. უბნის ამხ. ვ. ხარაზიშვილი. მან აღნიშნა ვერაფერით მხარეები არჩევნებისა, რომელთაც აღმოჩნდა სიმცირე ორიგე უბნისთვის, მაგრამ გარეული ამხანაგების მხნე მუშ. შეიძლება ეს ნაკლი, რომელთაც შესაძლო იყო. მომხსენებლმა სხვათა შორის განაცხადა, რომ ჩვენი პარტიის ზოგიერთი წევრები დიდ გულგრილობას იჩენდნენ მუშაობაში, და ზოგმაც მუშაობა კი არა და ხმაც დაჰკარგა. ამის შესახებ კრება კამათს ხსნის და გამოაქვს შემდეგი დადგენილებები: გამოირკვეულ იქნას ეს კითხვა მცირე კოლექტივებში და შემდეგ რაიონის კოლექტივს გადმოეცეს. შემდეგ კრება გადადის მეორე კითხვაზე. შეიარაღების კომისიის წევრი ლ. პაპიშვილი მოხსენებას აკეთებს. ის აცნობებს კრებას, რომ ჩვენ რაიონს ძლიერ ცოტა არგუნეს იარაღი და ისიც, რაც შემდეგ ამხანაგების განკარგულებიდან არ-ავეცა, ისიც ფლანგისი. რაც შეეხება რევოლვერებს და უფრო საჭირო იარაღს, ეს არ ხვდა ჩვენ რაიონს. მოხსენების შემდეგ იმართება კამათი. ამხანაგები ეხებიან და ახასიათებენ სერიოზულ ჩვენ რაიონის მდგომარეობას. ყველანი იმ აზრისა, რომ ამ რაიონში უფრო საჭირო გვარდიის მოწყობა. ამის შესახებ დაევალა ამხ. თავმჯდომარეს ეს კითხვა გადაეცეს თბილისის კომიტეტს. დანარჩენი კითხვები გადადებულ იქნა შემდეგ მორიგ კრებისთვის.

ნა.

მუშათა შორის

ხაშ. ხარიჟამიში. არა მგონი სადმე კიდევ იყვნენ ასე ჩამორჩენილი ცხოვრებაზე, როგორიც აქ არიან ხაშურის რკინიგზის მუშა-მოსამსახურეები, მათ არ აინტერესებს დღევანდელი მდგომარეობის გაგება; მათი ინტერესია მხოლოდ კერძო. არავითარი მე დარიგებით მათზედ არ გასჭრის. თუ ამეებს ხანს ჩვენზე თავშიშობენ, დღეს ასეთი პირდაპირ ქუჩაში თამაშობენ და კიდეც ამპარტავნობენ, ამას სჩადიან არა მარტო მუშა და უბრალო მოსამსახურეები, არამედ—უფროსი მოსამსახურენიც და ადგილობრივი კომიტეტის ზოგიერთი წევრებიც.

დუხმანის შვილი.

ჯარის-კაცთა წერილები

ამ მეორე ხარისხის მილიციონერებმა, რომლებიც იყვნენ გამოძახებული სამხედრო სამსახურში 1911 წ., შემდეგ მიიღეს გადასახადის ფურცელი, რომლის ძალითაც უნდა წლიურათ გადაიხადონ 6 მან. ფურცელზე არის აღნიშნული, რომ ვისაც წლიურად 1000 მანეთი აქვს შემოსავალი, ამან უნდა გადაიხადოს 6 მ. წლიურად, თუ წლიური შემოსავალი 1000 მ. აღემატება 5000 მანეთამდე, უნდა გადაიხადოს 25 მ. წელიწადში, თუ 5000 მ. აღემატება 10,000 მანეთამდე უნდა გადაიხადოს 50 მ. წ. თუ 10.000 მ. აღემატება 20,000 მ. უნდა გადაიხადოს 100 მ. წ. და თუ კი წლიური შემოსავალი 20,000 მანეთს აღემატება უნდა გადაიხადოს 200 მანეთი წლიურად. მაშასადამე, ჩვენ აქ უკვე ვხედავთ, რომ ეს სამხედრო გადასახადი წლიური შემოსავლის დაკლებაზე უნდა გადიხდეს! ყველასათვის ცხადია, რომ სოფლებში იშვიათია ისეთი გლეხ-კაცი, რომლის წლიური შემოსავალი 1000 მანეთამდე აღწევდეს. ასე რომ ჩემის აზრით, ეს ფულები ჩვენგან არ უნდა გამოეწერათ, მაგრამ მიუხედავათ ყველა ამისა ეს ფულები ძველი რეჟიმის დროს გამოეწერათ ყველა იმ პირებს, რომლებიც კი იყვნენ გამოძახებული 1911 წ. შემდეგ. არამც თუ შემოსავლის და კეთილდღეობაზე, არამედ ისეთ პირებსაც კი, რომლებსაც მთელი მოძრავ-უძრავი ქონება 300 მ. არ აღემატება. ასეც ამბობდნენ: ვინც ამ ფულებს გადაიხდის, იმას სამხედრო სამსახურში აღარ გაიწვევენო. და ეს რევოლუციამ ნებაყოფლობით გადაიხადეს, მაგრამ იმედები არ გამართლდა. ფულებიც გადაიხადეს და სამსახურშიაც გაიწვიეს. ეს ხდებოდა ძველი რეჟიმის დროს, როდესაც ყველას კარგათ ეცნობოდა, თუ რა როგორ ბატონობდნენ და ჩვენს ზურგზე თამაშობდნენ ლაზარეთში ბიუროკრატები მისცეს მათ „ერთადერთ სტრატეგიებით“.

განთავისუფლებულ ხანაში ყველა ასეთი შეურაცხოფელ გადასახადს ადგილი აღარ უნდა ჰქონდეს. ამიტომ მივმართავთ ვისაც ჯერ არს მთავრობის ჯეროვანი ყურადღება ამ მოვლენას. ჩემთვის გაუგებარია, რა დაუშვებლობა ჩვენ, მე-2 ხარისხის მილიციონერებს, რომ დაგვაჯარიმებს, ფულებიც გადაგვახდევინებს და კიდევ გვიწვევს სამსახურში.

ჯარისკაცი თეოფანე ზუმბ—ქუთელი.

პროვინციის ცხოვრება

ქარელი. ამიერ კავკასიის ორგანიზაციის რ. ს. დ. მ. პ. სახელით კომიტეტის დადგენილებით 15 გიორგობისთვის გამოგზავნილი პატარა ჯგუფი თბილისის მუშებისა გორის მაზრის სოფლებისაკენ დამფუძნებელ კრების არჩევნების საქმეებისთვის. აღნიშნულ გამო მოეწყო ამ ჯგუფმა დიდი მიტინგი შემდეგ სოფლებში: ქარელში, სასირეთში, საქაშეთში, შინდისში, ვარიანში და ტინისხიდში, სადაც ხალხს მოუწოდეს, რათა მიეცეთ ნამდვილ ნამოსათვის, მუშათა პარტიისათვის მიეცათ ხმა და უსმინონ არჩევნების, დამფუძნებელი კრების და მუშათა პარტიის მიზნებისათვის. ყველგან დიდის თანაგრძნობით უსმენდნენ სოფლის მუშები თავის მომავალ ქალაქის მუშებს და იძლეოდნენ სიტყვას, რომ ერთის ხმასაც არ დაჰკარგავდნენ და ყველას, ვისაც კი უფლება ექნება მიეცემოთ ჩვენს ხმას მუშების ნომერს პირველს, ავთანდილები კი შეეხებათ თვალებით და მიეცემა მშვიდობის ხმას მისამართით, იმედს კი ჩვენში მუშათა პარტიამ გაიმარჯვებსო. თუმცა სხვა პარტიებიც გვეთრჩნენ, რათა ხმა მათ მივცეთ, მაგრამ იმედი იქონიეთ ჩვენ ისინი ვერ შეგვაცდენენ სხვადასხვა დაპირებებით და ლამაზი სიტყვებით. დიდ რაც ჩვენს ქალაქის მუშებს უნდოდათ ასე წავიდეთ საქმე დ ჩვენ ამითი დიდი კმაყოფილება [illegible] ეთხოვეთ ქალაქის მუშებს [illegible] ჩვენს, [illegible] და იმედი გვაქვს, თუ ჩვენ, მოხუცნი, ვერაფერს ვისწავლით, ახალგაზრდები შეიგნებენ და თქვენებრ იგულები ებნებიან. ასე მიმართავდნენ ხოლმე სოფლის მუშები ქალაქის მუშების პატარა ჯგუფს. ზემოხსენებულ სოფლებში შექნეს პატარ-პატარა ჯგუფები ახალგაზრდებისა, რომლებიც დაევალათ არჩევნებისათვის მუშაობა და შემდეგისათვის ქალაქის მუშები დაპირდნენ კიდევ მალე ინახულონ და მოუწყონ პარტიული ორგანიზაციები, რომლის დავალებაც დიდი ხალისით იკისრეს და სახელიც, რათა დაპირება უთუოთ შეასრულონ, კიდევ ეწვიონ სოფლებს და მიუწყონ საქმე ისე, რომ ჩვენც შეკავშირებულნი ვიყოთ ისე, როგორც ქალაქის მუშები არიან. ამ მოგზაურობაში დიდი დახმარება გაგვიწია რუსის კომისარმა გიორგი მუხაძეშვილმა, რისთვისაც ჯგუფის სახელით დიდს მადლობას ვუძღვნით.

იასონ ფანიაშვილი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

წერილები რედაქციის მიმართ

ჩვენ, რკინის გზის სადგურის მოსამსახურენი, 18 კაცი, რომელნიც სოც. დემ. პარტიის წევრები ვართ და ვმუშაობდით ამ პარტიაში 1905 წ. 1917 წლის პირველ მარტამდე. 1914 წლიდან ვიხდიდით თვე-ში შეწირულობას და ერთი ამხანაგის სახელზე შეგვქონდა ბანკში. ასე ამ გვარად წვრილ-წვრილ დახმარებას ვაძლევდით პარტიას. ეხლა როგორც გაგვიგეს ზოგიერთებმა ეჭვი შემოიტანეს 70 მანეთის*) შემოწირულობაზე, რომელიც ჩვენის ხელით ამხანაგებმა გამოგზავნეს „ერთობის“ რედაქციაში (კვიტანციის № 2613 ეკენისთვის 11-ს) და დღემდე გამოუცხადებელია გაზეთში. გთხოვთ მიიღოთ ამ ფულებისთვის და რედაქციამ დაამოწმოს, რომ ეს ფული დანიშნულებისამებრ შემოტანილია.

პარტიის წევრები ქ. შენგელაია.

„ერთობის“ № 133 ში ხიდისთავიდან მოთავსებულ წერილისათვის სამხედრო სასამართლოში მიწვევს ორიონი ქარაძე და ერთმიდე კვეპენტერიძე. მე თანახმა ვარ. ჩემის მხრით მეღირსებათ ამხ. ხერგელ წერიძეს. ჩემიდან დამოუკიდებელ მიზეზის გამო შეუძლებელია მართლაც ვერ დავესწრო სასამართლოს, ამიტომ რწმუნებულათ იქნება ამხ. სერგო მოთავანიშვილი. საქმე უნდა გაირჩეს ადგილობრივ ადვოკატებით.

ვ. ბე—ძე.

ცნობები

ჯარისკაცების შესახებ.

ჯარის-კაცი მიქელ ხიმშიაშვილი, კავთისხევის (გორის მაზრა) მცხოვრები მსახურებდა ქართულ მსროლელ პოლკში მე-5 როტაში, მე-4 ოცეულში. დაიკარგა 3 მარიამობისთვეს. თუ ვინმემ რამე იცით მის შესახებ გთხოვთ გვაცნობოთ შემდეგი მისამართით: კავთისხევი (გორის მაზრა) პეტრე ხიმშიაშვილს.

---

*) 11 სექტემბერს მივიღეთ 70 მან. რედ.

კბილის საექიმო
და ლაბორატორია ხელოვნური კბილებისა
დაარსებული
გ. ზაიცევა-მინკარევის
მთავარ, თბილისი, მიხეილის პრ. ს. № 76.
ავადმყოფებს იღებს განუწყვეტლივ
დღისით და ღამით.
ღამით მორიგეობა ექიმებისა.

ექიმი
დ. ი. ქორდანია
იღებს ავადმყოფებს შინაგან და ვენერიულ ავადმყოფობით, სიფილისი და მისი შედეგები ხასიათის ნაკლებობა, ქრონიკული მალარია და ქრონიკული ტრიპერი. საღამოს 5—7 საათამდე გარდა კვირისა. გორის ქ. № 6 (ღილღუბე).

მედიცინის დოქტორი
გ. გ. მეგრაბიანცი
კანისა და ვენერიული ავადმყოფების მიღება. შინაგანი ავადმყოფობა, ჭლექისა და გულისა. იღებს ახალ რენტგენის—ელექტრო-წამლობის კაბინეტში; გასინჯვა და წამლობა სხივებით. დიდი სილიბერალი არსენების ტრაქეთ ფილტვების, გულის და სხვა შინაგანი ავადმყოფობისთვის. ყოველდღე დილით 9—1 საათამდე, საღამოს 6—8-მდე. ბებუთოვის ქუჩა № 23, ტელეფონი 7—92.

ექიმი
ანტიოხი
შინაგანი ავადმყოფობანი და ავადმყოფობანი ყურისა, ყელისა, ცხვირისა და თვალისა. მიღება ყოველ-დღე გარდა უქმეებისა, დილის 10—12 საათამდე და საღამოს 5—7 საათამდე. შამათობის უფასოთ, ბებუთოვის ქ. 28.

ექიმი კ. ი. შავარდაძე
შინაგან და ბავშვთა სნეულებათა
ავადმყოფებს მიიღებს ყოველდღე საღამოს 5—8 ს., კვირის დღის გარდა.
ქვინიტაძის ქუჩა, № 4, სასტუმრო ვენეციის გვერდით. ტელეფ. 15—00.

ხელოსნურ-ამხანაგური სტამბა რუსთაველის გამზირზე № 1.